



საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

როგორ მივიღოთ მუდებლობის ნებართვა



გზამკვლევი

თბილისი
2 0 0 4

წინასიტყვაობა

გზამკვლევი „როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა“ შემუშავებულია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. მისი შემუშავება განაპირობა მშენებლობის სფეროში ახალი კანონის მიღებამ, მოქმედი კანონმდებლობის ერთიანად გაგებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობამ. ასევე, მშენებლობის სფეროში არსებული პროცესის საჯაროობისათვის და საზოგადოების ხელმისაწვდომობისათვის.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია და ერთიან სისტემაშია მოყვანილი არა მხოლოდ მშენებლობის ნებართვის მიღება და მისი გაცემის წესი, არამედ ის ეტაპებიც, რომლებიც უნდა გაიაროს მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა პირმა ნებართვის მისაღებად. ასევე მასში მოცემულია მშენებლობის პროცესში მონაწილე პირების ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან, სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა და მათი ქმედებებისა თუ სამართლებრივი აქტების გასაჩივრების წესი. დამატებითი ინფორმაციის სახით განხილულია მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პირობები.

გზამკვლევი „როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა“ მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, IRIS–საქართველოს მხარდაჭერით. ნაშრომი შემუშავებულია მშენებლობის პროცესში მონაწილე სახელმწიფო ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობით.

გზამკვლევი წარმოადგენს კანონთა კომენტარებს და იგი დაზღვეული არ არის შეცდომისაგან. ყველა დასაბუთებული და საქმიანი შენიშვნა მხედველობაში იქნება მიღებული.

გისურვებთ წარმატებებს!

შინაარსი

შესავალი.....4

ტირმიტა ბანმარტება.....4

სანებართვო სისტემის საკანონმდებლო რეგულირება.....5

მშენებლობის ნებართვის მიღებამდე განსახორციელებელი ღონისძიებები.....6

 მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარბებლობაში არსებობა..... 6

 არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გამოთხოვა..... 7

 ასაშენებელი ობიექტის პროექტის შედგენა..... 8

 ასაშენებელი ობიექტის პროექტის შეთანხმება..... 9

მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა და დამტკიცება.....10

ნ ე ბ ა რ თ ე ა..... 11

 სანებართვო სახეები და ბამცემი ორბანოები..... 11

 მოსაკრებლები..... 13

 სანებართვო პირობები..... 14

 მშენებლობის ნებართვის ბაცემის წესი..... 16

 ნებართვის ბაცემასზე უარის თქმის საფუძვლები..... 25

 სამშენებლო სამუშაოების შეჩერება..... 25

 სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება..... 25

 ნებართვის მოქმედების შეჩერება და განახლება..... 25

 ნებართვის გაუქმება..... 26

შენობა–ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესი..... 27

ბასაჩივრების წესი.....30

 აღმინისტრაციული საჩივარი..... 30

 სასამართლოში ბასაჩივრება..... 31

მშენებლობის პროცესზე სახელმწიფო ზედამხედველობა.....32

პასუხისმგებლობა.....33

 პასუხისმგებლობა არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობის
 დარღვევისათვის..... 33

 დამრღვევის დაჯარიმება და დარღვევით მიყენებული ზიანის
 გამოსწორების დაკისრება..... 34

 დაჯარიმების შესახებ დადგენილების ბასაჩივრება..... 34

საჯაროობა და ინფორმაციის თავისუფლება. სანებართვო რემსტრი.....35

 სანებართვო რემსტრი..... 35

მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული უწყებების კოორდინატები.....37

სასამართლოთა კოორდინატები.....37

დამატებითი ინფორმაცია.....38

დ ა ნ ა რ თ ი.....50

შესავალი

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან სხვა ორგანიზებულ წარმონაქმნს (შემდგომში „პირი“), რომელიც აპირებს რაიმე ობიექტის მშენებლობას, ესაჭიროება სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა.

- ✓ მშენებლობის ნებართვის მიღება სავალდებულოა ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც პირი ობიექტს აშენებდეს ინდივიდუალური სარგებლობისთვის.

კანონით განსაზღვრულია ცალკეული სახის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც არ საჭიროებენ მშენებლობის ნებართვას, თუმცა ისინი ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურთან¹ შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, რომლის შესაბამისობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექცია (არქმშენინსპექცია).

მშენებლობის ნებართვა არ გაიცემა შემდეგ საქმიანობებზე:

- ა) საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე განთავსებულ დამხმარე სამეურნეო სათავსოს მოწყობაზე;
- ბ) მცირე არქიტექტურული ფორმების (კიოსკი, საჩრდილობელი, საყვავილე, ბოსკეტი და სხვა), მოზარდთა ღია სპორტული და სათამაშო მოედნებისა და ღია ავტოსადგომების მოწყობაზე;
- გ) სანახაობითი ღონისძიებების, სახალხო დღესასწაულებისა და ბაზრობა-გამოფენებისთვის საჭირო დროებითი შენობა-ნაგებობის მოწყობაზე;
- დ) სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობაზე, რომლის ფირნიშის ფართობი არ აღემატება 27 კვ. მეტრს;
- ე) შენობა-ნაგებობის, მათ შორის, ფასადის, ყველა სახის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე, არსებული გაბარიტების ფარგლებში;
- ვ) ხაზობრივი ნაგებობებისა და სხვა საკომუნიკაციო ქსელების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე.

ტერმინთა განმარტება

გზამკვლევეში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **მშენებლობის ნებართვა** – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გარკვეული ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც წარმოადგენს მშენებლობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს;
- ბ) **სანებართვო პირობა** – კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი, ასევე სხვა წესები, ნორმები და მოთხოვნები, რომელიც უნდა დაიცვას ნებართვის მფლობელმა ნებართვის მიღების შემდეგ;

¹ მშენებლობის ნებართვის გამცემი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელწოდება არის სხვადასხვა რაიონებისა თუ ქალაქების მიხედვით. ამრიგად, ჩვენს მიერ გამოყენებული სახელწოდება „არქიტექტურის სამსახური“ არის ზოგადი აღნიშვნა ზემოაღნიშნული უფლებამოსილების მატარებელი სამსახურისა და არ ემთხვევა რომელიმე კონკრეტული რაიონისა თუ ქალაქის შესაბამისი სამსახურის სახელწოდებას. მაგალითად თბილისის შემთხვევაში – ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახური.

გ) **დამკვეთი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზებული წარმონაქმნი (ამხანაგობა, არარეგისტრირებული კავშირი და სხვა), რომელიც სამუშაოებს უკვეთავს საპროექტო ან/და სამშენებლო ორგანიზაციას;

დ) **მენაშენე** – პირი, რომელსაც დამკვეთის მეშვეობით ან უშუალოდ ურთიერთობა აქვს წინასაპროექტო, საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო და გამშვებ-გასამართი სამუშაოების შემსრულებელთან (მენარდესთან) და რომლისგანაც მას საექსპლუატაციოდ გადაეცემა დასრულებული ობიექტი, ან მისი ნაწილი;

ე) **მენარდე** – ლიცენზირებული პირი, რომელიც ასრულებს წინასაპროექტო, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო და გამშვებ-გასამართ სამუშაოებს.

ვ) **ქვემენარდე** – საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი პირი, რომელიც მენარდესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. ქვემენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე პასუხისმგებელია მენარდე.

ზ) **არქიტექტურული პროექტი** – დოკუმენტურად დაფიქსირებული ავტორისეული ჩანაფიქრი, სადაც ჩამოყალიბებულია არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების პრინციპი, რომელიც შეესაბამება ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. არქიტექტურული პროექტის შექმნა არ საჭიროებს ლიცენზირებას და მასზე ვრცელდება საავტორო უფლებები;

თ) **არქიტექტურული ობიექტი** – არქიტექტურული პროექტის საფუძველზე განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი კომპლექსი, შენობა, ნაგებობა, ინტერიერი, ლანდშაფტური გარემო (საბადე-საპარკო ან სხვა ტერიტორია) ან ისტორიული განაშენიანება და შენობა-ნაგებობა, რომელსაც ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის ორგანოს მოთხოვნათა შესაბამისად ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-რეგენერაცია;

ი) **საზოობრივი ნაგებობა** – საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, მილგაყვანილობა, საჰაერო-საბაგირო გზა და ელექტროგადამცემი ხაზი.

კ) **ასაშენებელი ობიექტი** – არქიტექტურული ობიექტი, საზოობრივი და სხვა საინჟინრო ნაგებობები.

სანებართვო სისტემის საკანონმდებლო რეგულირება

ნებართვის გაცემის ზოგადი წესები და პრინციპები დადგენილია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მიღებულ იქნა „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ კანონი, რომელმაც განსაზღვრა მშენებლობის სფეროში ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები, სანებართვო სახეობები და ნებართვის მისაღებად წარსადგენი დამატებითი დოკუმენტები.

მშენებლობის სფერო გამოირჩევა ნორმატიული აქტების სიმრავლით (დაწვრილებითი ინფორმაცია სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, **იხ. დანართი 1**). გზამკვლევაში განხილულ იქნა ძირითადი ნორმატიული აქტები, მათ შორის: „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“; „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ და „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ კანონები.

მშენებლობის ნებართვის მიღებამდე განსახორციელებელი ღონისძიებები

მშენებლობის ნებართვის მისაღებად განაცხადის წარდგენამდე ნებართვის მაძიებელმა უნდა გაიაროს რამდენიმე ეტაპი, როგორცაა:

- მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებობა;
- ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურისაგან არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების (იხ. დანართი 2) გამოთხოვა;
- ამ დავალების საფუძველზე ასაშენებელი ობიექტის პროექტის შედგენა;
- ასაშენებელი ობიექტის პროექტის (მშენებლობის პროექტი) შეთანხმება ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურულ სამსახურთან.

ამ პროცედურების გავლის შემდეგ მაძიებელი აკეთებს განაცხადს მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებობა

სამშენებლო საქმიანობის დასაწყებად ნებართვის მაძიებელს მიწის ნაკვეთი უნდა გააჩნდეს საკუთრებაში ან სარგებლობაში.

საკუთრების შემთხვევაში, როდესაც მშენებლობის ნებართვას იღებს იურიდიული პირი ან ამხანაგობა, აუცილებელია მოხდეს მიწის ნაკვეთის მათ სახელზე გადაფორმება (რეგისტრაცია) საჯარო რეესტრში.

სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანოს მიერ რაიმე მშენებლობის განხორციელებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის ორგანო. ამ ორგანოებსაც მოეთხოვებათ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა, ხოლო სარგებლობისას – სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთი ძირითადად გაცივმა აღნაგობის² ფორმით. შესაძლებელია მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გაცივმა მოხდეს უზუფრუქტის³ ან სერვიტუტის⁴ ფორმითაც, თუ მესაკუთრე თანახმა იქნება მიწის ნაკვეთი გამოყენებულ იქნეს მშენებლობისათვის. თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანოა, მაშინ საჭიროა მათთან სარგებლობის ხელშეკრულების (რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას) დადება.

- ✓ არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გამოთხოვამდე სასურველია, რომ დაინტერესებულმა პირმა მიიღოს საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე⁵.

² მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემა მასზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აშენებისათვის;

³ მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემა, თუმცა აღნაგობისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში უზუფრუქტუარს არა აქვს უფლება სხვას გადასცეს მემკვიდრეობით ან სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთი;

⁴ მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემა, რომელიც ხორციელდება სხვა მიწის ნაკვეთის უკეთ გამოყენების მიზნით ან პირის სასარგებლოდ;

⁵ რადგანაც შემდგომში მიწის ნაკვეთი შეიძლება აღმოჩნდეს მშენებლობისათვის არამდგრადი. ასეთ შემთხვევაში პირი ვერ მიიღებს ნებართვას მშენებლობაზე, თუმცა საპროექტო სამუშაოებზე ხარჯები უკვე გაწეული ექნება.

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გამოთხროვა

ასაშენებელი ობიექტის შესაქმნელად ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ დამკვეთს ჰქონდეს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე შედგენილი პროექტი. არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება არის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა ერთობლიობა, რომლითაც განსაზღვრულია ასაშენებელი ობიექტის:

- დანიშნულება (საცხოვრებელი, საწარმოო და სხვა);
- პარამეტრები (სართულიანობა, მოცულობა და სხვა);
- მიწის ნაკვეთზე განთავსება;
- დაპროექტებისა და მშენებლობის ეკოლოგიური, ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვა პირობები.

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება უნდა შეიცავდეს ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დებულებებს, ეკოლოგიური, სანიტარიულ-ჰიგიენური უსაფრთხოების, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის სავალდებულო პირობებს და სხვა განსაკუთრებულ მოთხოვნებს, აგრეთვე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვის პირობებს, რომელთა ინტერესებზეც ზეგავლენას მოახდენს მომავალი მშენებლობა.

არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას გასცემს ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახური. მის მისაღებად პირმა უნდა წარადგინოს განცხადება (იხ. დანართი 3), რომელსაც უნდა დაერთოს მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საკუთრების შემთხვევაში – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში – მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება. თუ მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (ან მმართველობის) საკუთრებაშია, მაშინ შესაბამისად საჭიროა ამ ორგანოს თანხმობა.

- ✓ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზეც არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას გასცემს ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახური.

არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს არქიტექტურის სამსახური ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის (ბრძანების) სახით. არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში დეტალურად არის მოცემული ის ფარგლები და მოთხოვნები, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული პროექტის შედგენისას (სართულიანობა, ექსპერტიზის საჭიროება⁷, ისტორიულ ზონაში მშენებლობისას დასკვნის მიღება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსაგან და ა.შ.). არქიტექტურულ-გეგმარებით დავალების გასაცემად იმართება მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.

- ✓ დაუშვებელია არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში დამკვეთისა და ასაშენებელი ობიექტის პროექტის ავტორის უფლებების შემზღუდავი მოთხოვნების ჩართვა, გარდა კანონმდებლობისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

არქიტექტურის სამსახურმა დამკვეთს შეიძლება უარი უთხრას არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემაზე, თუ დამკვეთის განზრახვა ეწინააღმდეგება ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების

⁶ წყალგაყვანილობა, ელექტროქსელები, კავშირგაბმულობა, გაზომომარაგება. თითოეული ტექნიკური პირობა უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან, რომელიც თან დაერთვება საპროექტო დოკუმენტაციას.

⁷ ექსპერტიზის დასკვნა წარსადგენია არა ასაშენებელი ობიექტის პროექტის შესათანხმებლად, არამედ მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

გაცემაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (იხ. გასაჩივრების თავი) გვ. 30.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია, არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება უნდა შემუშავდეს წინასაპროექტო სამუშაოების საფუძველზე, რომელთა შესრულებასაც უზრუნველყოფს დამკვეთი. სამუშაოების შინაარსსა და მოცულობას განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახური.

განსაკუთრებული ქალაქმშენებლობითი მოთხოვნების არსებობისას არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების შესადგენად ან საუკეთესო არქიტექტურული გადაწყვეტის შერჩევისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების მიზნით, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის შესაბამისი ორგანოს წინადადებით, დამკვეთთან შეთანხმებით ტარდება ტენდერი (კონკურსი).

ასაშენებელი ობიექტის პროექტის შედგენა

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე დგება ასაშენებელი ობიექტის პროექტი, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებით განსაზღვრულ პარამეტრებთან და მოთხოვნებთან (მაგ.: სართულიანობა, ნაგებობის სიმაღლე, ინსოლაცია და ბუნებრივი განათება და ა.შ.).

- ✓ თუ მშენებლობა იგეგმება კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ზონაში არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე საჭიროა ასაშენებელი ობიექტის პროექტზე დასკვნის (თანხმობა) მიღება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსაგან.
- ✓ ექცევა თუ არა მშენებლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ზონაში, გამოვლინდება არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებიდან.

ასაშენებელი ობიექტის პროექტის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული მოთხოვნები (მაგ.: ბუნებრივი განათებისა და ინსოლაციის, ანუ ასაშენებელმა ობიექტმა არ უნდა დაუბნელოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაგებობებს ბუნებრივი განათებულობა).

არქიტექტორს, რომელიც არის დამკვეთის წარმომადგენელი, უფლება აქვს თვითონ გამოითხოვოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, შეიმუშავოს პროექტი და შეათანხმოს იგი არქიტექტურის სამსახურთან.

- ✓ არქიტექტურული პროექტის შემქმნელ არქიტექტორს არ ესაჭიროება ლიცენზია⁸.

საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილმასშტაბიანი⁹ სამშენებლო, სამელიორაციო, საგზაო, ნავთობსადენი და გაზსადენი მაგისტრალებისა და სხვა სახის სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებს ესაჭიროება კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ გაცემული დასკვნები.

⁸ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით ფიზიკური პირის არქიტექტურული საქმიანობა არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად და იგი არ ექვემდებარება ლიცენზირებას. ლიცენზირებას ექვემდებარება ასაშენებელი ობიექტის რეალიზაციასთან (დოკუმენტაციის მომზადების პროცესის ორგანიზება, ექსპერტიზა, მშენებლობის გაძღოლა) დაკავშირებული საქმიანობა. აღნიშნულ ლიცენზიას (საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია) გაცემს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

⁹ მსხვილმასშტაბიანი ობიექტის ცნება საკანონმდებლო დონეზე განმარტებული არ არის და წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას.

პირები, რომლებიც აპირებენ მსხვილმაშტაბიანი სამშენებლო ან სხვა სამუშაოების ჩატარებას (საგზაო და საინჟინრო ინფრასტრუქტურების აგება, სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება და ა.შ.), ვალდებული არიან დაპროექტების პროცესში, სამუშაოების დაწყებამდე 3 თვით ადრე, არქეოლოგიური და სხვა ძეგლთა დაცვითი სამუშაოების განსახორციელებლად წარუდგინონ განაცხადი კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

- ✓ მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოთა დროებით შეჩერების გადაწყვეტილებას იღებს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად.

ასაშენებელი ობიექტის პროექტის შეთანხმება

დამკვეთმა ან მისმა წარმომადგენელმა არქიტექტორმა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებისა და სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე შედგენილი პროექტი უნდა შეთანხმოს ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურთან. პროექტის შეთანხმების პროცესი მიმდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

- ✓ შესათანხმებელი პროექტი წარდგენილი უნდა იყოს 3 ეგზემპლარად, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე 4 ეგზემპლარად.
- ✓ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების პროექტს შეითანხმებს ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახური.
- ✓ შეთანხმებას ექვემდებარება მხოლოდ ასაშენებელი ობიექტის პროექტი და არა საპროექტო დოკუმენტაცია.

პროექტის შეთანხმებაზე საქმისწარმოება იწყება წერილობითი განცხადებისა (იხ. დანართი 4) და არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე შედგენილი ასაშენებელი ობიექტის პროექტისა და მასზე თანდართული მასალების (მაგ.: კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დასკვნა და ა.შ.) წარდგენით არქიტექტურის სამსახურში (შემდეგში: სამსახური).

თავდაპირველად შემთანხმებელი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. წარდგენილი მასალები მოწმდება არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებასთან შესაბამისობაში.

თუ დოკუმენტები სრულად არ იქნა წარდგენილი, მაშინ სამსახურმა უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და განუსაზღვროს მათი წარდგენისათვის არანაკლებ 5 დღიანი ვადა. თუ ამ ვადაში არ იქნა წარდგენილი დოკუმენტები, სამსახურს აქვს უფლება (მაგრამ არა ვალდებულია) განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღისა დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარმოდგენის ვადა.

ასაშენებელი ობიექტის პროექტის შეთანხმების წარმოებაში მიწვეული უნდა იქნეს განმცხადებელი; მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი მოსაზრება (მათ შორის, წერილობით) გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს მათი ასლები, წარადგინოს მტკიცებულებები და დააყენოს შუამდგომლობები. შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანო იღებს 2 დღის ვადაში. შემთანხმებელი ორგანო

ვალდებულია განმცხადებელს განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები, გააცნოს საქმის განხილვის წესი და ვადები.

- ✓ გარდა განმცხადებლისა, პროექტის შეთანხმებისას მიწვეულ უნდა იქნეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების მფლობელი პირები, თუ წარმოდგენილი პროექტით ასაშენებელი ნაგებობა გავლენას მოახდენს მათ უფლებებზე.

შეთანხმებული ორგანო იკვლევს წარმოდგენილ მასალებს, უსმენს მხარეებს, განიხილავს დაყენებულ შეამდგომლობებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას პროექტის შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციული აქტის სახით (მაგ.: ბრძანება) განცხადების წარდგენიდან (რეგისტრაციიდან) 15 დღის ვადაში, თუ ვადა წინასწარ არ არის გაგრძელებული (მაქსიმუმ სამ თვემდე). თუ პროექტის შეთანხმება ეხება მესამე პირის ინტერესებს (მაგ. მეზობელი) ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა ერთი თვის ვადაში.

პროექტის შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში (იხ. თავი გასაჩივრება, გვ. 30).

- ✓ ასაშენებელი ობიექტის პროექტში ცვლილებების შეტანა მოითხოვს მის შეთანხმებას არქიტექტურის სამსახურთან და პროექტის ავტორთან.
- ✓ სამშენებლო სამუშაოები შეიძლება შეჩერდეს ავტორის მოთხოვნის საფუძველზე, თუ პროექტში ცვლილებები ავტორთან შეუთანხმებლად შეტანილი.
- ✓ თუ პროექტის ავტორი არ ეთანხმება ცვლილებების შეტანას, ობიექტის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

ასაშენებელი ობიექტის პროექტის შეთანხმება არქიტექტურის სამსახურთან არის მშენებლობის ნებართვის მისაღებად დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველი.

მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა და დამტკიცება

სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას ექვემდებარება მშენებლობის პროექტები, რომელიც მოიცავს წინასაპროექტო და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. სავალდებულო ექსპერტიზას ექვემდებარება:

1. სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებით გათვალისწინებული, აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების (მიუხედავად დაფინანსების წყაროსა და მესაკუთრისა) მშენებლობის პროექტები;
2. კერძო პირების მიერ დაფინანსებული მშენებლობის პროექტების მხოლოდ განსაზღვრული სახეობა. იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას, განსაზღვრულია მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის ბრძანებით (იხ. დანართი 5).

დამკვეთის სურვილით ექსპერტიზა უტარდება იმ მშენებლობის პროექტებს, რომლებიც არ ექვემდებარება სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას. ასეთ ექსპერტიზას ატარებენ დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაციები დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

- ✓ მშენებლობის პროექტს დადებითი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ამტკიცებს დამკვეთი.¹⁰

¹⁰ სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებით გათვალისწინებული, აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების პროექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მლნ ლარს აღემატება, ამტკიცებს დამკვეთი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით.

ნ ე ბ ა რ თ ვ ა

სანებართვო სახეები და გამცემი ორგანოები

მშენებლობის ნებართვა გაიცემა ობიექტის:

- მშენებლობაზე;
- რეკონსტრუქციაზე¹¹;
- დემონტაჟზე¹².

ობიექტის დემონტაჟი არ ექვემდებარება ნებართვის მიღებას, თუ:

1. დემონტაჟი გათვალისწინებულია შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით და გაცემულია მშენებლობის ნებართვა;
2. არსებობს დემონტაჟის თაობაზე არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის შესაბამისი სამსახურის დადგენილება, სასამართლოს გადაწყვეტილება და მათ საფუძველზე შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია.

მშენებლობის ნებართვას გასცემენ შემდეგი ორგანოები:

1. მშენებლობის ნებართვა (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვისა) – ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახური;
2. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვა – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო თბილისში მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ჩამონათვალი¹³, რომელთა მშენებლობა საჭიროებს ნებართვას და ამ ნებართვების გამცემი ორგანოები მოცემულია ცხრილში:

№	სანებართვო სახეები	გამცემი ორგანო
1	მაგისტრალური ნავთობსადენი, გაზსადენი და წყალსადენი	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
2	ნავთობისა და თხევადი აირის ტერმინალები	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
3	საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რკინიგზა და მასზე განთავსებული ხიდი, გვირაბი, გზაგამტარი	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
4	მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი (35 კვტ და მეტი) და ქვესადგური (110 კვტ და მეტი)	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
5	ჰიდროელექტროსადგური (2 მგვტ და მეტი) და თბოელექტროსადგური (10 მგვტ და მეტი)	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
6	მეტროპოლიტენი	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური

¹¹ გადაკეთება;

¹² დანგრევა, მოხსნა, აღება, ლიკვიდაცია;

¹³ საქართველოს კანონი „მშენებლობის ნებართვის შესახებ“, მე-4 მუხლი.

7	სახელმწიფო მნიშვნელობის ტელეანბა, 12 მეტრზე მეტი სიმაღლის კავშირგაბმულობის ანბა და ტელეკოშკი	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
8	წყალსაცავი (100 000 კუბ. მეტრი და მეტი)	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
9	რეგიონალური და საქალაქო გამწმენდი ნაგებობები (20 000 კუბ. მეტრი დღე-ღამეში და მეტი	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
10	საწარმო, რომელიც იყენებს რადიოაქტიურ ან/და მწვავე ტოქსიკურ ნივთიერებებს	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
11	სახელმწიფო მნიშვნელობის აეროვაგზლის, აეროპორტის, რკინიგზის ვაგზლის, საზღვაო ვაგზლისა და საზღვაო პორტის შენობა-ნაგებობები	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
12	ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისთვის საჭირო სპეციალური შენობა-ნაგებობა (სამრეწველო, სამეცნიერო-საკონსტრუქტორო, სამხედრო, სასჯელაღსრულების, საბაჟო, სასაზღვრო დანიშნულების და სხვა) შესაბამისი უწყების მოთხოვნის საფუძველზე	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური
13	სპორტული შენობა-ნაგებობები: ღია – 10 000-ადგილიანი და 10 000-ზე მეტ ადგილიანი, დახურული – 1000-ადგილიანი და 1000-ზე მეტ ადგილიანი	რეგიონებში – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური; თბილისში – მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური
14	უცხო ქვეყნების წარმომადგენლობათა შენობა-ნაგებობები და მათი კომპლექსი (საელჩო, საკონსულო, მისია, წარმომადგენლობა, კულტურის ცენტრი)	რეგიონებში – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური; თბილისში – მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური
15	ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები	რეგიონებში – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური; თბილისში – მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური
16	ყველა სახის თეატრის, საკონცერტო და სამაყურებლო დანიშნულების 500-ადგილიანი და 500-ზე მეტ ადგილიანი შენობა –ნაგებობები	რეგიონებში – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური; თბილისში – მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური

17	სახელმწიფო ბიბლიოთეკის, არქივისა და მუზეუმის შენობა-ნაგებობები 500 000 ერთეულზე მეტი ან/და 50 000 ექსპონატზე მეტი	რეგიონებში – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური; თბილისში – მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური
18	უმაღლესი სასწავლებლისა და უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები ან/და მათი კომპლექსი 2000 და მეტ სტუდენტზე	რეგიონებში – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური; თბილისში – მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური
19	სასტუმროს, სანატორიუმისა და სამედიცინო დაწესებულების შენობა-ნაგებობები ან/და მათი კომპლექსი 300-ადგილიანი და 300-ზე მეტ ადგილიანი	რეგიონებში – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების სამსახური; თბილისში – მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური

- ✓ მშენებლობის ნებართვა გაიცემა საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული მშენებლობის დასრულებისთვის საჭირო ვადით.
- ✓ თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა არ დასრულდა მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში, დამკვეთი ვალდებულია, ნებართვის ვადის გასაგრძელებლად მიმართოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს. ვადის გაგრძელების თაობაზე საქმის განხილვა წარმოებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
- ✓ საპროექტო დოკუმენტაციაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც იწვევს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის შეცვლას, საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას.
- ✓ დასაშვებია მშენებლობის ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემა, როდესაც ხდება მშენებარე ობიექტის გასხვისება.

მოსაკრებლები

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვაზე მოსაკრებელი განსაზღვრულია „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით. მოსაკრებლები დაწესებულია ობიექტის ღირებულების შესაბამისად. აღნიშნული განაკვეთებია:

- 500 ათას ლარამდე ღირებულების ობიექტი – 1000 ლარს + ობიექტის ღირებულების 0.5%;
- 500 ათასიდან 1 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 8000 ლარი;
- 1 დან 3 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 14000 ლარი;
- 3 დან 5 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 19000 ლარი;
- 5-დან 10 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 24000 ლარი;
- 10 მილიონი და მეტი ლარის ღირებულების ობიექტი – 24000 + ობიექტის ღირებულების 0.01%.

ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურის მიერ გასაცემ მშენებლობის ნებართვებზე მოსაკრებელს განსაზღვრავს შესამაბისი რაიონის (ქალაქის) საკრებულო. მოსაკრებლის ოდენობის ზოგადი ფარგლები განსაზღვრულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონით, რომლის მიხედვითაც „მოსაკრებლის ოდენობა ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს 1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 ლარს“.

- ✓ სანებართვო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია სპეციალურ საბანკო ანგარიშზე როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.
- ✓ ზედმეტად გადახდილი თანხა უბრუნდება ნებართვის მაძიებელს.

სანებართვო პირობები

მშენებლობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა (დამკვეთმა) ნებართვის გამცემ სამსახურს უნდა წარუდგინოს განცხადება (იხ. დანართი 6), სადაც აღნიშნული იქნება:

- ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობა და მისამართი:
 - ფიზიკური პირისათვის – დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები; ინდივიდუალური მეწარმისათვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - იურიდიული პირისათვის – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები;
 - სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის (მაგ., ამხანაგობა) – სახელწოდება, მისამართი, წევრები, ხელმძღვანელი პირი.
- მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის მიღების შესახებ;
- განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხა;
- განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებას უნდა დაერთოს:

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში სათანადო რწმუნებულება (იხ. დანართი 7);
- ადგილობრივი მმართველობის ორგანოს არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი (სამ ეგზემპლარად);
- საპროექტო დოკუმენტაცია (სამ ეგზემპლარად), მათ შორის:
 - ა) არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება;
 - ბ) დავალება დაპროექტებაზე (დამკვეთსა და ლიცენზირებულ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულება დაპროექტებაზე);
 - გ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო დოკუმენტაცია¹⁴;
 - დ) საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა და ტოპოგრაფიული საფუძველი¹⁵;

14 საკადასტრო დოკუმენტაციას გასცემს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტი).

- ე) გარემოსდაცვითი ნებართვა¹⁶ (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 39);
- ვ) შეთანხმებული ტექნიკური პირობები;
- ზ) მშენებლობის ორგანიზების პროექტი;
- თ) სათანადო საექსპერტო დასკვნა¹⁷;
- ი) მუშა დოკუმენტაცია;
- კ) ცნობა (ინფორმაცია) მიწის ნაკვეთზე დაფის განთავსების შესახებ; (იხ. საჯაროობის თავი გვ. 35).

- საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების ლიცენზიებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების ასლები;
- სათანადო უწყებების მიერ გაცემული სანებართვო ხასიათის ოფიციალური დოკუმენტები შემდეგი განსაკუთრებული რეჟიმის ტერიტორიებისათვის:
 - ა) დაცული ტერიტორია (სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაპტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია);
 - ბ) სასაზღვრო ზოლი და სასაზღვრო ზონა (იხ. დამატებითი ინფორმაცია, გვ. 46);
 - გ) კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონა (იხ. დამატებითი ინფორმაცია, გვ. 47);
 - დ) სანაპირო ზონა (იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 49);
 - ე) რკინიგზის, საავტომობილო გზის, მაგისტრალური მილსადენებისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გასხვისების ზონები;
 - ვ) სათავე ნაგებობების, რადიაციული და სხვა ნარჩენების სამარხების წყალსაცავებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული ზონები;
 - ზ) ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ტერიტორიები (დასახლებები) და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დამცავი ზონების სისტემაში შემავალი ზონები.
- ✓ ნებართვის მისაღებად საჭირო დამატებითი პირობები განისაზღვრება მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით.
- ✓ მშენებლობის ნებართვის გარეშე აშენებული ობიექტი ექვემდებარება დემონტაჟს მფლობელის ხარჯით. დაუშვებელია ასეთი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება.

¹⁵ საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემულ ტერიტორიაზე დასაშვებია შენობის აშენება. მას გასცემს საინჟინრო-გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ორგანიზაცია.

¹⁶ გარემოსდაცვით ნებართვას გასცემს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო კანონის შესაბამისად.

¹⁷ წარმოსადგენია მხოლოდ კანონით განსაზღვრული სავალდებულო ექსპერტიზის შემთხვევაში, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი გვ.9-ზე.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი

მშენებლობის ნებართვა გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რომლის დაწყების საფუძველია ნებართვის მაძიებლის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადებისა და მასზე თანდართული საბუთების შეტანა, რომელიც უფლებამოსილია გასცეს მშენებლობის ნებართვა. ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი.

ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღებისთანავე (დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი); განმცხადებლის მოთხოვნისას კი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

ნებართვის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა წარდგენილი განცხადება და მასზე თანდართული მასალები დადგენილ მოთხოვნებს. ადმინისტრაციული წარმოების ეს საფეხური გულისხმობს იმის შემოწმებას, რომ განცხადება შეესაბამება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნებს; ასევე, უნდა შემოწმდეს განცხადებაზე თანდართული მასალები შეესაბამება თუ არა „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისობის შემოწმებისას არ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და იგი მოიცავს ძირითადად დოკუმენტების ჩამონათვალის შემოწმებას. შესაბამისობის შემოწმებისას გამოვლინდება შემდეგი გარემოებები:

1. განცხადება ან მასზე დართული მასალები ხომ არ არის წარმოდგენილი უცხო ენაზე. საქმისწარმოება ნებართვის გამცემ ორგანოში მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. თუ რომელიმე დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის წარმოდგენილი, ვადა მაძიებლის მიერ დაცულად ითვლება და ნებართვის გამცემმა ორგანომ მაძიებელს უნდა განუსაზღვროს ვადა დოკუმენტის თარგმნისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისათვის, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის წარმოდგენამდე საქმისწარმოების ვადა შეჩერებულად ითვლება;

✓ **საქმისწარმოება ნებართვის გამცემ ორგანოში მიმდინარეობს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.**

2. თუ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ნებართვის გაცემა მიეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე თანდართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის შესახებაც 2 დღის ვადაში შესაბამისი დასაბუთებით ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს განმცხადებელს;

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას გამოვლინდება საქმის სირთულე ანუ შესაძლებელი იქნება თუ არა ერთთვიან ვადაში გადაწყვეტილების მიღება და საჭირო ხომ არ არის ვადის გაგრძელება 3 თვემდე. უნდა აღინიშნოს, რომ 3 თვემდე გაგრძელება არის მაქსიმუმი (რომელშიც მიეთვლება ერთთვიანი ვადაც) და ვადის გაგრძელებისას ნებართვის გამცემმა უნდა იხელმძღვანელოს საქმის სირთულით, სავარაუდოდ რა ვადაში შეძლებს გადაწყვეტილების მიღებას და იგი შეიძლება იყოს თვენახევარი, ორი თვე ან 10 დღით გაგრძელება და ა.შ. ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული აქტის (მაგ.: ბრძანების) ფორმით, რომლის გამოცემისათვის ცალკე ადმინისტრაციული

წარმოება არ იმართება. ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ გახდა აუცილებელი ვადის გაგრძელება და იგი მიიღება არა უგვიანეს 7 დღის განცხადების რეგისტრაციიდან. ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღეს უნდა ეცნობოს მაძიებელს, რომ ვადა გაგრძელებულია და გადაეცეს მას ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის ასლი;

✓ ვადის გაგრძელების შემთხვევაში ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია გააგრძელოს მოსაზრებების წარდგენის ვადა.

4. თუ დადგენილი დოკუმენტები არ იქნა სრულად წარდგენილი, მაშინ ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და განუსაზღვროს მათი წარდგენის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. დოკუმენტების წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა უნდა იყოს გონივრული, ე.ი. ნებართვის გამცემმა ორგანომ მიახლოებით უნდა გათვალოს, თუ რა ვადაში შეძლებს მაძიებელი დოკუმენტების წარმოდგენას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეალური ვითარება და თუ შესაძლებელია, მოსმენილ იქნეს მაძიებლის პოზიციაც იმის შესახებ, თუ რა ვადაში შეუძლია მას აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რა დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მაძიებელმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის განსაზღვრული ვადა გასულად არ ითვლება და მისი ათვლა დაიწყება მოთხოვნის დაკონკრეტებისას. თუ ამ ვადაში არ იქნა წარდგენილი დოკუმენტები, ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარმოდგენის ვადა. დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას.

✓ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას.

დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისათვის მიცემული დამატებითი ვადა არ მიეთვლება საქმისწარმოების საერთო ვადაში, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოება შეჩერებულია. ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან. განცხადების განუხილველად დატოვებისას განმცხადებელს უფლება აქვს კვლავ მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ნებართვის მისაღებად; ასეთ შემთხვევაში საქმისწარმოება და შესაბამისად ვადების ათვლა იწყება თავიდან. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის ათვლა იწყება განცხადების წარდგენიდან.

✓ დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისათვის მიცემული დამატებითი ვადა არ ითვლება საქმისწარმოების საერთო ვადაში.

5. ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება ამ საკითხების გარკვევის გარეშე, ნებართვის გამცემი ნიშნავს ექსპერტიზას. ექსპერტიზის დანიშვნის აქტში კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს ის კითხვები, რაზედაც სურს პასუხის მიღება ნებართვის გამცემ უწყებას.

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობის დადგენიდან მომდევნო 3 დღის განმავლობაში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ექსპერტიზის დანიშვნის აქტი, განცხადება და თანდართული მასალის ასლები უნდა გადაეგზავნოს ექსპერტს დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტი დასკვნას წარმოადგენს მასალების მიღებიდან ორი კვირის ვადაში. ექსპერტიზის მიმდინარეობისას ვადის დინება შეჩერებულია;
2. უნდა გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ (იხ. დანართი 8). ცნობაში უნდა მიეთითოს:
 - ნებართვის გამცემი ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი;
 - ნებართვის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების მოკლე შინაარსი;
 - ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;
 - ნებისმიერი პირის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;
 - ნებისმიერი პირის უფლება, რომ მას მოსაზრების წარდგენისას შეუძლია არ დაასახელოს თავისი ვინაობა;
 - ცნობის გამოქვეყნების თარიღი.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობა უნდა გამოქვეყნდეს ნებართვის გამცემი ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ნებართვის გამცემ ორგანოს არა აქვს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, მაშინ ცნობა ქვეყნდება იმ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ნებართვის გამცემი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. ცნობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შეუძლებლობისას, ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია, სულ მცირე, ცნობა განათავსოს სამსახურის ოფიციალურ დაფაზე (ე.წ. სტენდზე), სადაც ნებისმიერ პირს ექნება შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაეცნოს მას.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში ნებისმიერ პირს უფლება აქვს ნებართვის გამცემ ორგანოში გაეცნოს ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებებს, ასევე საქმეში არსებულ სხვა მასალას, გააკეთოს ამონაწერები, საკუთარი ხარჯით გადაიღოს ასლები, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება წერილობით, საქმის ზეპირ მოსმენაზე კი, ზეპირადაც შეუძლია გამოხატოს მოსაზრება. მოსაზრების წარდგენა შეუძლია არა მხოლოდ განმცხადებელს, არამედ სხვა ნებისმიერ პირსაც, რომელსაც შეუძლია არ დაასახელოს თავისი ვინაობა.

✓ მოსაზრების წარდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია დარჩეს ანონიმურად.

აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ნებისმიერი პირისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირის ცნებები. ნებისმიერი დაინტერესებული პირი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე ან კანონიერ ინტერესებზე მშენებლობის ნებართვის გაცემა პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს (მაგ., მეზობელი); დაინტერესებულ პირად ითვლება ასევე ნებართვის მაძიებელი. ნებისმიერი პირი კი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე და ინტერესებზე ნებართვის გაცემა უშუალო გავლენას არ ახდენს, მაგრამ სურს გამოხატოს თავისი პოზიცია ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა საქმის განხილვაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც: ნებისმიერი პირი მოსაზრებას წარმოადგენს საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში და უფლება აქვს მხოლოდ დაესწროს ზეპირი მოსმენის სხდომას, ხოლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ენიჭება უფლება ახსნა-განმარტებით გამოვიდეს ზეპირი მოსმენის სხდომაზე.

- ✓ განმცხადებელს ან/და მის წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს ადმინისტრაციულ წარმოებას.

მოსაზრების წარმოდგენის ვადის გასვლიდან (ანუ საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ) 5 დღის ვადაში იმართება საქმის ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ მაძიებელს და ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს (მეზობლებს) უნდა ეცნობოს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნეს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. მოსაწვევ უწყებაში უნდა მიეთითოს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე.

თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 50-ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით. ცნობაში უნდა მიეთითოს საკითხი, რომლის თაობაზედაც უნდა მოეწიოს ზეპირი მოსმენა, ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელიც აწყობს მოსმენას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი.

- ✓ ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განუმარტოს განმცხადებელს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი და ვადა, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომის შესახებ.

ნებართვის გამცემი ორგანო ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტს. ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს ყველა წარდგენილი დოკუმენტი, მოუსმინოს განმცხადებელსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირს, განიხილოს მაძიებლის ანდა მისი წარმომადგენლის მიერ დაყენებული შუამდგომლობები აცილების (იხ. დანართი 9 - აცილების საფუძველები), მტკიცებულებათა წარდგენის და ა.შ. თუ ექსპერტიზა ჰქონდა დანიშნული, უფლება აქვს სხდომაზე გამოიძახოს ექსპერტი და კითხვები დაუსვას მის მიერ წარმოდგენილ დასკვნასთან დაკავშირებით. ექსპერტისათვის კითხვის დასმის უფლება აქვს მაძიებელსა და საქმეში ჩართულ დაინტერესებულ პირსაც. სხდომაზე შეიძლება გამოიძახებულ იქნენ მოწმეები ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად.

ზეპირი მოსმენის სხდომა საჯაროა და მაძიებლისა და სხვა დაინტერესებული პირის გარდა, ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს მას, თუმცა სხდომაზე გამოსვლის უფლებით სარგებლობენ მაძიებელი და დაინტერესებული პირი. სხდომაზე დგება ოქმი, სადაც აღინიშნება საქმის მიმდინარეობა, განხილვის დრო და ადგილი, სხდომაზე მონაწილე მხარეები, ექსპერტებისა და მოწმეების ვინაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

- ✓ ზეპირ მოსმენაზე დასწრების უფლება აქვს როგორც დაინტერესებულ, ისე ნებისმიერ პირს.
- ✓ სხდომაზე გამოსვლის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მაძიებელი და დაინტერესებული პირი.

გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება საქმეზე გარემოებების დადგენის, მტკიცებულებების გამოკვლევის, შეფასებისა და წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სახით განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 1 თვის ვადაში, ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში. ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიცეს ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების სახით. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა წერილობით და ძალაში შედის მხარისათვის გადაცემის ან გამოქვეყნების დღეს. მშენებლობის ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს. კონკრეტულად თუ რა სახით იქნება ადმინისტრაციული აქტი გამოცემული, ეს დამოკიდებულია ნებართვის გამცემი ორგანოს დებულებაზე.

- ✓ გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 1 თვის ვადაში.

მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა) და დამოწმებული საპროექტო დოკუმენტაციის ერთი კომპლექტი ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ გადაეცემა დამკვეთს ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში. ამავე ვადაში მეორე ეგზემპლარი გადაეცემა არქმშენინსპექციას, მშენებლობაზე სახელმწიფო ობიექტის ზედამხედველობის ობიექტის განხორციელების მიზნით.

ინფორმაცია ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 10 დღის ვადაში ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია მოიცავს მოკლე წერილობით პუბლიკაციას, სადაც იქნება აღნიშნული ნებართვის მფლობელის ან იმ პირის სახელწოდება, რომელსაც უარი ეთქვა ნებართვის გაცემაზე, გამცემი ორგანოს დასახელება, ადმინისტრაციული აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული. თუ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა ადმინისტრაციული აქტი ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ საჭირო არ არის დამატებით ზემოაღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან/და გაუქმების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:


- ა) ადმინისტრაციული აქტის სახეს (მაგ., ბრძანება №);
- ბ) გამომცემ ორგანოს დასახელებას;
- გ) ადმინისტრაციული აქტის სათაურს (მაგ., ბრძანება № ნებართვის გაცემის შესახებ);
- დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- ე) გამომცემის დროსა და ადგილს;
- ვ) ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- ზ) ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა (მაგ., „ბრძანება ნებართვის გაცემის შესახებ შეიძლება 1 თვის ვადაში გასაჩივრდეს მერიამში, შემდეგ მისამართზე...“).


- ✓ ადმინისტრაციული წარმოების აღდგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ნებართვის გაცემაზე უარის თქმად, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია.

ადმინისტრაციული წარმოებისას დარღვეული ანუ გაშვებული ვადის აღდგენა შესაძლებელია, თუ ვადის გაშვება მოხდა საპატიო გარემოებების არსებობისას, როგორცაა დაუძლეველი ძალა (მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.), ნებართვის მაძიებლის ავადმყოფობა ან სხვა საპატიო მიზეზი და ნებართვის გამცემი ორგანოს ბრალი. გაშვებული ვადის აღდგენისათვის ნებართვის მაძიებელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპატიო გარემოებების აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღეში და უნდა დაადასტუროს საპატიო გარემოებების არსებობა განცხადებაზე ავადმყოფობის ცნობის დართვით და სხვა. ნებართვის გამცემი ორგანო გაშვებული ვადის აღდგენის განცხადებას განიხილავს 5 დღის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული აქტის ფორმით): ვადის აღდგენის ან ვადის აღდგენის დაუშვებლობის შესახებ.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

ს ქ ე მ ა







<p>ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ წარდგენილი დოკუმენტის გამოკვლევა, განმცხადებელისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირის მოსაზრების მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება საქმეზე ყველა გარემოების დადგენის, შეფასებისა და წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე</p>	
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--



<p>გადაწყვეტილების მიღება ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ</p>	<p>განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან ერთ თვეში ზეპირი მოსმენიდან 10 დღეში</p>
-------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------



<p>სანებართვო მოწმობის გაცემა</p>	<p>ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში</p>
-----------------------------------	--------------------------------------------------------------------------

- ✓ კანონმდებლობით გათვალისწინებულია მშენებლობის წარმოების ნებართვის არსებობა. იგი წინააღმდეგობაში მოდის „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონთან – დაუშვებელია ნებართვის შემოღება ისეთ საქმიანობაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით¹⁸. მშენებლობის წარმოების ნებართვაზე მოსაკრებელიც არ არის განსაზღვრული და არც ადგილობრივი ორგანოებს აქვთ იგი შემოღებული შესაბამის ქალაქებსა და რაიონებში. აღნიშნულიდან გამომდინარე მშენებლობის წარმოების ნებართვა არის უკანონო.

¹⁸ „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი

ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ნებართვა არ გაიცემა, თუ:

- წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს;
 - მაძიებელი მოითხოვს ისეთ ნებართვას, რომელიც მას გაუუქმდა და გაუქმებიდან არ გასულა 6 თვე;
 - მაძიებელს შეუჩერდა ნებართვის მოქმედება და არ აღმოფხვრილა მისი შეჩერების საფუძველი.
- ✓ აკრძალულია ნებართვის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ნებართვის რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.

სამშენებლო სამუშაოების შეჩერება

სამშენებლო სამუშაოების შეჩერების უფლება აქვს არქმშენინსპექციას, რისი საფუძველიც შეიძლება იყოს:

- სამშენებლო ნორმების, წესების, სტანდარტებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების უხეში დარღვევა;
- ფორს-მაჟორული გარემოებები (დაუძლეველი ძალა).

არქმშენინსპექციას უფლება აქვს შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოები მთლიანად ან ნაწილობრივ.

სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

- ✓ ნებართვის დუბლიკატის მისაღებად საჭირო არის მხოლოდ წერილობითი განცხადება.

განცხადების მიღებიდან 2 დღეში ნებართვის გამცემი გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს, რომლის გაცემისათვის მოსაკრებელი შეადგენს 10 ლარს¹⁹.

- ✓ სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს.

ნებართვის მოქმედების შეჩერება და ბანახლება

თუ ნებართვის მფლობელი არღვევს სანებართვო პირობებს, ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ.

ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ნებართვის გამცემი იღებს ამ ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით.

გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება დადგენილი ვადის დაუცველად და ამის თაობაზე აღმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ნებართვის მფლობელს.

¹⁹ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ კანონი;

ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, რომელი სანებართვო პირობაა დარღვეული. თუ ნებართვის მფლობელი 3 თვის განმავლობაში გამოასწორებს დარღვეულ სანებართვო პირობას, იგი მიმართავს ნებართვის გამცემს ნებართვის მოქმედების განახლების მოთხოვნით. განცხადებაში მეწარმე უფლებამოსილია დასვას შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ნებართვის მოქმედების განახლების თაობაზე გადაწყვეტილების გამოცემის შესახებ.

ნებართვის გაუქმება

ნებართვის გაუქმება მოიცავს მის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ბათილობისას ნებართვა გაუქმებულად ითვლება მისი გაცემის დღიდან, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადებისას კი, ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

ნებართვის გაუქმების საფუძველია, თუ:

- ნებართვა გასცა არაუფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა (ბათილობა);
- იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები²⁰ (ბათილობა);
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ნებართვის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და ნებართვის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს (ძალადაკარგულად გამოცხადება);
- ნებართვის მფლობელის მიერ არ სრულდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულებები (ძალადაკარგულად გამოცხადება);
- ამას მოითხოვს ნებართვის მფლობელი (ძალადაკარგულად გამოცხადება);
- გავიდა ნებართვის მოქმედების შეჩერების ვადა და ამ ვადაში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი (ძალადაკარგულად გამოცხადება).

²⁰ ნებართვა გაუქმდება, თუ იგი გაიცა ისეთ საქმიანობაზე, რომელიც კანონით არის აკრძალული. ნებართვის გაუქმების დამოუკიდებელი საფუძველია მისი გაცემის წესის არსებითი დარღვევა. კანონით პირდაპირ განისაზღვრა, რომ ნებართვა უნდა გაიცეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში (ნებართვის გაცემის წესი) „არსებითი მოთხოვნების დარღვევად“ ითვლება თუ არ გამოქვეყნდა ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ, მაძიებელი და სხვა დაინტერესებული პირები არ იქნენ მოწვეული საქმის ზეპირ მოსმენაზე, მაძიებელს არ ეცნობა საქმის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ აქტი გამოიცა შესაბამისობის დადგენიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, დაირღვა მოსაზრებების წარდგენის 20 დღიანი ვადა, ადმინისტრაციული აქტი ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ გამოქვეყნდა.

შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესი

მას შემდეგ, რაც დასრულდება პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, დამკვეთმა ან მენარდემ განაცხადი უნდა გააკეთოს მშენებლობადასრულებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

✓ ექსპლუატაციაში მიუღებელი ობიექტის ფუნქციონირება დაუშვებელია.

საწარმოო დანიშნულების ობიექტების ექსპლუატაციაში მისაღებად წარდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამთავრებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მთლიანად ობიექტისათვის ან პროექტით განსაზღვრული დასაშვები კომპლექსისათვის.

სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების, ექსპლუატაციაში მისაღებად წარდგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დამთავრებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რომლებიც გათვალისწინებულია საპროექტო დოკუმენტაციით.

საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციაში მისაღებად წარდგენა დასაშვებია ობიექტების მზადყოფნის I, II და III ეტაპებზე:

- **მზადყოფნის I ეტაპი** – დამთავრებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შენობის საერთო მოხმარების ყველა სათავსოში (ლიფტი, კიბის უჯრედი, ნაგავსადენი, საშრობი), მიწისქვეშა და მიწის ზედა კომუნიკაციების მოწყობა, კეთილმოწყობა და გამწვანება, შენობის ფასადები, შენობის შიგნით დამონტაჟებულია ყველა კომუნიკაციის დგარები, ჩასმულია ბინაში შესასვლელი კარი და გარე ფანჯრები;
- **მზადყოფნის II ეტაპი** – გარდა ზემო პუნქტში მოცემული სამუშაოებისა, დამთავრებულია ტიხრების მოწყობა, კედლების გალესვა, იატაკზე თბოსაიზოლაციო ფენის მოწყობა და ხსნარით მოჭიმვა. დარჩენილია სამღებრო სამუშაოები ელექტრო და სანტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი;
- **მზადყოფნის III ეტაპი („გასადების ქვეშ“)** – დამთავრებულია ყველა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები.

დამკვეთი (მენაშენე) მშენებლობადამთავრებული შენობებისა და ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებაზე განაცხადს წარადგენს შემდეგი კატეგორიის ობიექტებზე შემდეგ სახელმწიფო ორგანოებში:

I კატეგორია – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და საქართველოს სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტები, რომელთა ღირებულება აღემატება 2 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში – ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

II კატეგორია – საწარმოო, საბინაო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები, რომელთა ღირებულება აღემატება 0,5 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გარდა I კატეგორიას მიკუთვნებული ობიექტებისა, დაფინანსების წყაროს მიუხედავად – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო აფხაზეთსა და აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკების ანალოგიური უფლებამოსილების მქონე უწყება;

III კატეგორია – საწარმოო, საბინაო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები, რომელთა ღირებულება შეადგენს 0,4 მლნ-დან 0,5 მლნ-მდე აშშ დოლარის

ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გარდა I კატეგორიას მიკუთნებული ობიექტებისა, დაფინანსების წყაროს მიუხედავად – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები, ხოლო აფხაზეთსა და აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი უწყებები, ქ. თბილისში – ქალაქის მერია.

IV კატეგორია – სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთებზე აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები, რომელთა ღირებულებაა 0,4 მლნ-მდე აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში მიუხედავად დაფინანსების წყაროსა – ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

განაცხადი, რომელსაც დამკვეთი (მენაშენე) მიმღებ კომისიას წარუდგენს:

- განცხადებას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;
- ნებართვებს მშენებლობის განხორციელებაზე და არსებულ საინჟინრო კომუნიკაციებთან მიერთებაზე;
- მშენებლობაზე დასაქმებული სამშენებლო, სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების ნუსხას;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ჟურნალებს;
- აქტებს ფარული სამუშაოების შესრულებაზე;
- დამონტაჟებული მოწყობილობისა და საინჟინრო ქსელების გამოცდის აქტებს;
- შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისას გამოყენებული სამშენებლო მასალების, კონსტრუქციების, ნაკეთობების, მოწყობილობა-დანადგარების შესაბამისობის სერტიფიკატებს და ხარისხის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებს;
- სხვა დამატებით ტექნიკურ დოკუმენტებს, რომლებიც აუცილებელია ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებისათვის.

ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება ხდება მიმღები კომისიის მიერ. კომისიას აკომპლექტებს ორგანო, რომელსაც წარუდგინეს განაცხადი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. ეს ორგანო ასევე განსაზღვრავს კომისიის მუშაობის დაწყებისა და დამთავრების ვადებს.

I კატეგორიის ყველა ობიექტისთვის და II კატეგორიის საწარმოო დანიშნულების ობიექტებისათვის მიმღები კომისია ინიშნება ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებამდე 2 თვით ადრე, ხოლო დანარჩენი კატეგორიის ობიექტებისათვის ერთი თვით ადრე.

ექსპლუატაციაში მიმღები კომისიის შემადგენლობაში შედიან:

- არქმშენისპექციის, ადგილობრივი არქიტექტურული სამსახურის, სახანძრო ზედამხედველობის, სანიტარიული ინსპექციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობისა და მშენებლობაში სერტიფიკაციის სისტემის ორგანოს წარმომადგენლები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შენობა-ნაგებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები;
- დამკვეთის (მენაშენეს) წარმომადგენლები;
- მენარდეს და საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლები;
- ექსპერტები, სპეციალობების მიხედვით შენობა-ნაგებობათა მნიშვნელობიდან გამომდინარე;

- იმ სახელმწიფო უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთა მიერ გაცემულ იქნა დასკვნა მისაღები ობიექტის თაობაზე, აგრეთვე სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთა კომისიაში მონაწილეობა ჩაითვლება მიზანშეწონილად.

საჭიროების შემთხვევაში მიმღები კომისია გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მიმღები კომისიის სხდომა ინიშნება მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარეს წარედგინება ყველა წევრის, მოწვეული ექსპერტებისა და მუშა ჯგუფების წერილობითი დასკვნები ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად მზადყოფნის შესახებ.

მიმღები კომისია იხილავს წარდგენილ დასკვნას და კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების დადებითი დასკვნის საფუძველზე დებულობს გადაწყვეტილებას განაცხადში წარდგენილი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი აქტით. მასში მოცემული უნდა იყოს შენობა-ნაგებობების საერთო დახასიათება, აღწერა, პროექტით გათვალისწინებული ტექნიკური მაჩვენებლები. დადებითი დასკვნის შემთხვევაში აქტი დასამტკიცებლად წარედგინება კომისიის დამნიშვნელ ორგანოს.

- ✓ აქტის განხილვა და დამტკიცება უნდა მოხდეს მისი წარდგენიდან არა უგვიანეს ერთ თვეში. აქტის დამტკიცების თარიღი წარმოადგენს ექსპლუატაციაში მიღების თარიღს.

დამტკიცებულ აქტს დამკვეთი წარუდგენს ქალაქის ან რაიონის არქმშენისპექციას და საჯარო რეესტრის სამსახურს. საჯარო რეესტრს დამტკიცებული აქტი წარედგინება აშენებულ ობიექტზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად.

ბასაჩივრების წესი

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის, მშენებლობის პროექტის შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვის მოქმედების შეჩერების, განახლების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში. გასაჩივრებას ასევე ექვემდებარება საქმისმწარმოებელი თანამდებობის პირების მოქმედება ან უმოქმედობა.

გასაჩივრების უფლება აქვს იმ პირს, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისი უფლებები. ასეთი პირი შეიძლება იყოს ნებართვის მაძიებელი ან სხვა დაინტერესებული პირი, რომლის ინტერესებსაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მშენებლობასთან დაკავშირებით (მაგ.: მშენებარე ობიექტის მეზობლად მცხოვრები, რომელსაც ასაშენებელი ობიექტი ბუნებრივ განათებაში ხელს უშლის ან/და საფრთხეს უქმნის მისი შენობის ან ნაკვეთის სიმყარეს და ა.შ.).

- ✓ პირს უფლება აქვს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრების გარეშე პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.
- ✓ თუ ფიზიკური პირი საჩივარს შეიტანს ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდგომ წარადგენს სარჩელს სასამართლოში, იგი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟისაგან.
- ✓ აკრძალულია დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან ზემდგომ თანამდებობის პირთან.

ადმინისტრაციული საჩივარი

(გასაჩივრება ზემდგომ ორგანოში ან თანამდებობის პირთან)

ადმინისტრაციული საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის (იხ. დანართი 10), სადაც აღინიშნება:

- ა) ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი;
- ბ) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
- გ) იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, რომლის გადაწყვეტილება (მოქმედება ან უმოქმედობა) საჩივრდება;
- დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების (მოქმედება ან უმოქმედობა) დასახელება;
- ე) მოთხოვნა;
- ვ) გარემოებები, რომლებსაც მოთხოვნა ეფუძნება;
- ზ) საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- ✓ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთ თვეში.
- ✓ იგივე ვადაში გასაჩივრდება ნებართვის გამცემი ორგანოს მოქმედება ან უმოქმედობა. გასაჩივრების ერთთვიანი ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა ასეთი მოქმედებისა თუ უმოქმედობის შესახებ.

ზემდგომი ორგანო (ზემდგომი თანამდებობის პირი) არ განიხილავს საჩივარს, თუ:

- ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
- ბ) სასამართლოში იხილება დავა იმავე მხარეებს შორის, იგივე საკითხზე;
- გ) არსებობს ამ ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
- დ) საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
- ე) საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;
- ვ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საჩივრის წარდგენიდან 5 დღეში²¹. საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მომჩივანს ეძლევა საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება.

საჩივარი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისათვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი, მაშინ საჩივრის განმხილველი უფლებამოსილია, საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღისა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის ვადის არა უმეტეს ერთი თვით გაგრძელების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს²².

საჩივრის განხილვის შედეგად მიიღება ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

1. საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
2. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
3. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

✓ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

სასამართლოში ბასაჩივრება

სარჩელი (იხ. დანართი 11) სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციული აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში²³.

სარჩელში უნდა აღინიშნოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი;
2. მოსარჩელის ვინაობა და მისამართი;
3. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება და მისამართი, რომლის აქტიც საჩივრდება;
4. მოსარჩელის მოთხოვნა;
5. გარემოებები, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა;
6. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
7. სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა.

✓ ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას, თუ ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

²¹ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 182-ე მუხლი, მე-2 ნაწილი;

²² ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 183-ე მუხლი, მე-3 ნაწილი;

²³ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 22-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

მშენებლობის პროცესზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს არქმშენინსპექცია. მას უფლება აქვს:

1. შევიდეს მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტებზე და სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების დამამზადებელ საწარმოებში²⁴;

2. მოსთხოვოს მშენებლობაში მონაწილეებს ყველა აუცილებელი საპროექტო, ნორმატიული და საშემსრულებლო დოკუმენტაცია, და სამშენებლო მასალების ხარისხის სერტიფიკატი;

3. გასცეს მშენებლობაში მონაწილეთათვის და სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობა პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების, სტანდარტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ;

4. შეაჩეროს მშენებლობა, შესაბამისი უწყების წინაშე დასვას საკითხი სამშენებლო მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოების, მათი დანიშნულებით რეალიზაციის ან გამოყენების შესახებ;

5. საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს მშენებელ ორგანიზაციას, სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების დამამზადებელ საწარმოს დამატებითი ლაბორატორიული გამოცდების, გაზომვებისა და გადაღებების ჩატარება. თუ დარღვევა დადასტურდა, ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯებს გაიღებს დამრღვევი, წინააღმდეგ შემთხვევაში – არქმშენინსპექცია;

6. ფიზიკური ან იურიდიული პირის, ან ამხანაგობის მიერ წლის განმავლობაში დარღვევის განმეორების ან დამრღვევის მიერ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წინაშე დასვას ამ სუბიექტისათვის საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზიის ან/და სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ან მისი გაუქმების საკითხი;

7. პროექტის შემთანხმებელ ორგანოს მოსთხოვოს პროექტის შეთანხმებისას დაშვებული დარღვევისა და ამ დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორება;

8. გაფრთხილების შემდეგ დამრღვევის მიერ შესაბამისი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, მიიღოს დადგენილება და სასამართლოში შეიტანოს სარჩელი საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, მიშენებული, დაშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დანგრევის (დემონტაჟის) შესახებ. დადგენილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:

- მშენებლობის განხორციელება მიწის ნაკვეთის ფლობის ან მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსების უფლების გარეშე;
- მშენებლობის განხორციელება უპროექტოდ ან პროექტის დარღვევით, როდესაც შენობა-ნაგებობა ვერ პასუხობს ტერიტორიის განაშენიანების ქალაქმშენებლობის ნორმებს;
- შენობა-ნაგებობის მდგომარეობა, როდესაც იგი ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობებს და არ არის უზრუნველყოფილი კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე, მდგრადობა, საიმედოობა და ამ დარღვევების გამოსწორება ტექნიკურად შეუძლებელია;
- მშენებლობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვის გარეშე.

²⁴ მხოლოდ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

პასუხისმგებლობა

(ამონაწერი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონიდან)

პასუხისმგებლობა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დარღვევისათვის

1. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტები, რომლებიც ითვლებიან დამკვეთად ან მენარდედ, ან რომლებსაც შეთავსებული აქვთ დამკვეთისა და მენარდის ფუნქცია, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმდებიან:

ა) საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას, სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოებისას ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნათა დარღვევისათვის, რაც იწვევს წარმოებული სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების სიმტკიცის დაქვეითებას, შენობა-ნაგებობის არქიტექტურული გადაწყვეტის დამახინჯებას, ან მისი ცალკეული ნაწილებისა და კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცის დაქვეითებას ან მდგრადობის დაკარგვას – დარღვევის გამოსწორებისათვის საჭირო თანხის 50-დან 200%-მდე ოდენობით;

ბ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი ორგანიზაციული წესების დარღვევისათვის:

ბ.ა. *ორი ათასი ლარით – ობიექტის მშენებლობის დაწყებისათვის სათანადო ნებართვის გარეშე;*

ბ.ბ. *სამი ათასი ლარით – არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისათვის ამ საქმიანობის ლიცენზიის, სერტიფიკატის გარეშე ან არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობის იმ სამუშაოების შესრულებისათვის, რომლებიც არაა მოხსენიებული ლიცენზიაში;*

ბ.გ. *სამი ათასი ლარით – ობიექტის მშენებლობის განხორციელებისათვის უპროექტოდ ან პროექტით, რომელსაც არ გაუვლია ექსპერტიზა დადგენილი წესით;*

ბ.დ. *ორი ათასი ლარით – სახელმწიფო დაკვეთით მშენებლობის უტენდეროდ წარმართვისათვის;*

ბ.ე. *ათასი ლარით – ობიექტის საექსპლუატაციოდ მიღების დადგენილი წესის დარღვევისათვის;*

ბ.ვ. *ორი ათასი ლარით – არქმშენინსპექციის ორგანოების მიწერილობის შეუსრულებლობისათვის.*

2. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის დარღვევისათვის შესაბამის ორგანოს სამი ათასი ლარით აჯარიმებს მთავარი არქმშენინსპექცია.

3. დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისა და დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისაგან.

4. არქმშენინსპექციის სისტემის მუშაკი, რომელიც არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დანგრევის (დემონტაჟის) შესახებ არქმშენინსპექციის მიერ მიღებული დადგენილება უნდა აღასრულოს დამრღვევმა თავისი ხარჯებით. თუ დამრღვევი დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით არ აღასრულებს არქმშენინსპექციის დადგენილებას, იგი აღსრულდება სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი წესით.

6. პასუხისმგებლობა სამშენებლო საქმიანობის თვითნებურად განხორციელებისათვის ან შესაბამისი შეთანხმებისა და დოკუმენტაციის გარეშე ან მათი დარღვევით განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი).

დამრღვევის დაჯარიმება და დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორების დაკისრება

1. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისა და დარღვევით მიყენებული ზიანის აღმოჩენისას შესაბამისი არქმშენინსპექცია დამრღვევს სთავაზობს დარღვევისა და დარღვევით მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით გამოსწორებას 10 დღის ვადაში. თუ დამრღვევი უარს აცხადებს დარღვევისა და დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორებაზე, არქმშენინსპექცია იღებს დადგენილებას დამრღვევისათვის საჯარიმო სანქციის დაკისრების შესახებ და აჯარიმებს მას. თუ დამრღვევი არ გადაიხდის ჯარიმას, არქმშენინსპექცია მიმართავს სასამართლოს საჯარიმო თანხის ამოღების მოთხოვნით.

2. დამრღვევისათვის დარღვევის ან დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორების ვალდებულებების დაკისრების მოთხოვნით არქმშენინსპექცია მიმართავს სასამართლოს.

3. სასამართლო არქმშენინსპექციის ოქმის საფუძველზე წყვეტს დარღვევის და დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორების ვალდებულებების დაკისრებასა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, მიშენებული, დაშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დანგრევის (დემონტაჟის) საკითხებს.

4. შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დანგრევის (დემონტაჟის) ხარჯები დაეკისრება დამრღვევს, მასვე შეიძლება დაეკისროს არქმშენინსპექციის მიერ საქმის წარმოებისას გაწეული სხვა ხარჯებიც. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობასა და შენობა-ნაგებობების დანგრევის (დემონტაჟის) ღირებულებას განსაზღვრავს მოსამართლე.

(„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი).

დაჯარიმების შესახებ დადგენილების გასაჩივრება

არქმშენინსპექციის დადგენილება დაჯარიმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში. ამასთან, დადგენილების აღსრულება შეჩერდება ამ ორგანოს ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

(„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი).

საჯაროობა და ინფორმაციის თავისუფლება. სანებართვო რეესტრი

მშენებლობის ნებართვის გაცემა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია საჯაროობისა და ინფორმაციის თავისუფლების მაღალი ხარისხით. კანონმდებლობით დადგენილია სახელმწიფო ორგანოებისა და მშენებლობის პროცესში მონაწილე პირების (მენაშენე, დამკვეთი, მენარდე, ქვემენარდე) ვალდებულება ხელმისაწვდომი გახადონ საჯარო ინფორმაცია, რათა მშენებლობის პროცესი გახდეს გამჭვირვალე და ნებისმიერ პირს მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მენაშენე (განმცხადებელი) არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადების პერიოდში უზრუნველყოფს შესაბამის მიწის ნაკვეთზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსებას მოსალოდნელი მშენებლობისა და მისი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს:

- დამკვეთის ვინაობა და შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო;
- მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების სავარაუდო ვადები;
- შენობის სართულიანობა და გაბარიტები;
- მშენებლობის ნებართვაზე განცხადების შეტანის სავარაუდო ვადები;
- ინფორმაცია დაინტერესებულ პირთათვის განცხადების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში ნებართვის გამცემ ორგანოში განმარტებების მიღებისა და საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლების შესახებ;
- დამკვეთის მისამართი, ტელეფონი.

მენაშენემ (განმცხადებელმა) სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში მიწის ნაკვეთზე (შენობა-ნაგებობაზე) თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე უნდა განათავსოს სანებართვო დოკუმენტაციის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია, მათ შორის:

- დამკვეთის ვინაობა და შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო, ნებართვის ნომერი და მოქმედების ვადა;
- მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების ვადები;
- შენობის სართულიანობა და გაბარიტები;
- საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების დასახელება, ლიცენზიის ნომერი, მისამართი, ტელეფონი;
- დამკვეთის მისამართი, ტელეფონი.

საპროექტო დოკუმენტაციაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებები, რომლებიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე.

სანებართვო რეესტრი

რეესტრის წარმოების მიზანია, შეიქმნას ერთიანი ბაზა ნებართვების შესახებ.

სანებართვო რეესტრის სახეებია:

1. უწყებრივი რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ნებართვის გამცემი სამსახურები;
2. სახელმწიფო რეესტრი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მშენებლობის ნებართვის გამცემ სამსახურს უწყებრივ სანებართვო რეესტრში შეაქვს მონაცემები ნებართვის გაცემის, ცვლილებების შეტანის, მისი მოქმედების შეჩერების,

განახლების, გაუქმებისა და დუბლიკატის გაცემის შესახებ, ნებართვის მფლობელის მონაცემები, სანებართვო მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი. უწყებრივ რეესტრში მონაცემები შეიტანება გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში.

მშენებლობის ნებართვის გამცემი ვალდებულია უწყებრივ სანებართვო რეესტრში შეტანილი მონაცემები 10 დღის განმავლობაში გაუგზავნოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სანებართვო რეესტრში შესატანად.

მშენებლობის ნებართვის გამცემი ვალდებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს მონაცემები ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი შეჩერების ან/და გაუქმების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

- ✓ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

ინფორმაციის მისაღებად პირი რეესტრის მწარმოებელ უწყებაში წარადგენს წერილობით განცხადებას. სავალდებულო არ არის განცხადებაში მიეთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი.

- ✓ აკრძალულია დაწესდეს რაიმე საფასური ინფორმაციის გაცემისათვის, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი საფასურის გარდა.

რეესტრის სამსახური მოთხოვნილ ინფორმაციას (მონაცემებს) გასცემს დაუყოვნებლივ. გაცემის ვადა შეიძლება გაიზარდოს 10 დღემდე, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა საჭიროებს:

1. სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას ან/და კონსულტაციას;
2. მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.

თუ ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, რეესტრის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს შესაბამისი დასაბუთებით.

მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული უწყებების კოორდინატები

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო –

მისამართი: ქ. თბილისი გ. ჭავჭავაძის №12

ტელ.: 98-43-11.

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, ვაკე-საბურთალოს საგადასახადო შემოსავლების ანგარიში, ა/ა №507121604, კოდი 4033.

ქ. თბილისის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახური –

მისამართი: ქ. თბილისი 0102, აღმაშენებლის №29/24,

ტელ.: 95-31-26.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო –

მისამართი: ქ. თბილისი 0171, კოსტავას №68^ა,

ტელ.: 36-45-41

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო –

მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის №15^ა,

ტელ.: 32-38-05

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო –

მისამართი: ქ. თბილისი 0105, სანაპიროს №3.

სასამართლოთა კოორდინატები

მთაწმინდა-კრწანისის რ-ნული სასამართლო –

მისამართი: ქ. თბილისი 0103, ქ. წამებულის №1,

დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნული სასამართლო –

მისამართი: ქ. თბილისი 0112, წინამძღვრიშვილის №200,

ტელ.: 24-70-82

საოლქო სასამართლო –

მისამართი: ქ. თბილისი 0159, გ. რობაქიძის გამზ. №7^ა,

ტელ.: 53-09-15; 53-09-16

დამატებითი ინფორმაცია

ბარემოსდაცვითი ნებართვის მიღება

საქმიანობა, რომლის განსახორციელებლად აუცილებელია გარემოსდაცვითი ნებართვის მიღება იყოფა ოთხ კატეგორიად მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით. ჩვენი ინტერესის საგანია, მხოლოდ პირველი 3 კატეგორია, სწორედ ისინი უკავშირდება მშენებლობის სფეროს.

პირველ კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, მათ შორის:

1. ენერგეტიკული მრეწველობა:

- თბოელექტროსადგურებისა და სხვა თერმული ობიექტების მნიშვნელობა (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის);
- გაზის, ორთქლის, ცხელი წყლისა და ელექტროენერჯის მაგისტრალურ გადაცემ საშუალებათა მშენებლობა;
- ჰიდროელექტროსადგურების (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის) მშენებლობა;
- კაშხლებისა და ხელოვნური წყალსაცავების, სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა;
- ნებისმიერი დანიშნულებისა და სიმძლავრის ბირთვული რეაქტორების მშენებლობა;
- ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა.

2. ხე-ტყის გადამამუშავებელი, ქაღალდის, ტყავისა და საფეიქრო მრეწველობა:

- მაუდ-კამოლის (მატყლის გამწმენდი, გაუცხიმოვანებელი და გამთეთრებელი) კომბინატის მშენებლობა.

3. ინფრასტრუქტურული გეგმების, პროექტებისა და პროგრამების განხორციელება ურბანიზაციისა და ქალაქგეგმარების პროგრამები:

- დასახლებული პუნქტების გამწმენდი ნაგებობების პროექტები;
- საავტომობილო გზების, რკინიგზების და აეროდრომების, ხიდების და ასტაკადების პროექტები;
- ნებისმიერი დანიშნულების მაგისტრალური მილსადენების პროექტები;
- საზღვაო პორტებისა და ტერმინალების პროექტები;
- მეტროპოლიტენის, მიწისქვეშა საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების პროექტები;
- სასტუმრო და საკურორტო კომპლექსების პროექტები;
- სპორტული კომპლექსებისა და ნაგებობების პროექტები;
- ონკოლოგიური, ინფექციური და ტუბერკულოზის საავადმყოფო პროექტები;
- დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამები;
- საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიური პროცესების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის გამიზნული, ყველა სახის სამეურნეო-საიუნრო ობიექტების განლაგების ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი მშენებლობის პროექტები.

გარემოსდაცვით ნებართვას ამ კატეგორიის საქმიანობისათვის გაცემს **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.**

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ). პროცედურა ტარდება ამ კანონის III თავის შესაბამისად;
- სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, პროცედურა ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

მეორე კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და იმ რეგიონის გარემოზე, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება, მათ შორის:

1. ენერგეტიკული მრეწველობა:
 - სამრეწველო დანიშნულების თბოელექტროსადგურების და სხვა თერმული საწარმოების (10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა;
 - ჰიდროელექტროსადგურების (10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა;
2. სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა:
 - მარცვლეული საკვების დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა.
3. სხვა საქმიანობა:
 - მერქანი და ხის აგეჯის დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა;
 - მინერალური და საიზოლაციო ბამბის საწარმოების მშენებლობა;
 - კირქვის, ცარცის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
 - კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის სამუშაოები;
 - აგურის და კაფელის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
 - თაბაშირის ფილების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
 - სამშენებლო კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;
 - ქიმიური პროდუქტების გადასატანი ცისტერნების სარეცხი საწარმოების მშენებლობა.

გარემოსდაცვით ნებართვას ამ კატეგორიის საქმიანობისათვის გასცემს **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.**

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, პროცედურა ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

მესამე კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით არ გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას გარემოზე, მათ შორის:

1. სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა:
 - საკვები ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოების (წელიწადში 200 ტონაზე მეტი წარმადობის) შექმნა;
 - მარცვლეულის დასაშრობი, გასაწმენდი, შესანახი და სასილოსე კოშკების მშენებლობა;
 - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი შენობების და ნაგებობების მშენებლობა;
 - სამრეწველო მნიშვნელობის სათბურების მშენებლობა;

- მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი შენობების, ნაგებობებისა და საწარმოების მშენებლობა;
- მცენარეთა ქიმიური დამცავი საშუალებების და მინერალური სასუქების საწვობების მშენებლობა;

2. სხვა საქმიანობა:

- მერქნის შესანახი (სახმელეთო, წყლის შესასხურებელი მოწყობილობით, ან წყალზე 1000 კუბურ მეტრზე მეტი) ობიექტების მშენებლობა;
- კერამიკული საწარმოების მშენებლობა;
- შიდასამეურნეო საავტომობილო გზების გაყვანა;
- ბენზინის გასამართი სადგურების მოწყობა;
- საავადმყოფოების მშენებლობა.

გარემოსდაცვით ნებართვას ამ კატეგორიის საქმიანობისათვის გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონალური ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები.

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, პროცედურა ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საზოგადოებრიობის ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

განაცხადი გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად

საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად მაძიებელი ვალდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მის რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოებსა და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს წარუდგინოს განაცხადი.

მაძიებელი ვალდებულია განაცხადი წარადგინოს სრულად, წერილობითი ფორმით.

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

- დამასაბუთებელ დოკუმენტაციას;
- მაძიებლის განცხადებას საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად;
- საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტს;
- სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის შეთანხმებას სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების მოთხოვნებთან საქმიანობის შესაბამისობის შესახებ;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (პირველი კატეგორიის საქმიანობისათვის).

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- დაგეგმილი საქმიანობის დასახელება, მაძიებლის ვინაობა და მისამართი;
- დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა;
- საქმიანობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი, საქმიანობის მიზნები;
- საქმიანობისათვის საჭირო ნაგებობების სქემა;
- ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა;
- ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მისაღებ ნივთიერებათა ჩამონათვალი;

- იმ ღონისძიებათა დეტალური აღწერა, რომლებიც დაგეგმილია გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შესამცირებლად;
- გამოსაყენებელი ბუნებრივი რესურსების ჩამონათვალი და რაოდენობა;
- მოსალოდნელი ემისიის მოცულობა და სახეობა;
- ემისიის მოცულობის დასადგენად დაგეგმილი მეთოდები;
- საწარმოო პროცესების შედეგად მიღებული ნარჩენების სახეები, ოდენობა, მათი განთავსების შესაძლო ადგილები, ნარჩენების შესამცირებლად და გადასამუშავებლად დაგეგმილი ღონისძიებები;
- ტექნოგენური ავარიების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი უსაფრთხოების ზომები.

სამივე კატეგორიის საქმიანობისათვის მაძიებელი ვალდებულია განაცხადთან ერთად წარადგინოს საქმიანობის მოკლე ანოტაცია, რომელშიც უნდა აისახოს:

- დაგეგმილი საქმიანობის დასახელება და მაძიებლის ვინაობა;
- დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა;
- საქმიანობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი;
- საქმიანობის მიზნები;
- საქმიანობის კატეგორია;
- მისამართი, სადაც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

ამ ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია გამოქვეყნდება პრესაში და მიეწოდება საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

მაძიებელს უფლება აქვს დამატებით წარადგინოს ის მონაცემები, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში მიიჩნევს საჭიროდ.

განაცხადის სრულად მიღების შემდეგ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები იწყებენ კანონით გათვალისწინებულ პროცედურას.

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი პირობაა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპები:

1. საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
2. საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის შეფასების კომპლექსურობა;
3. გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინება;
4. ექსპერტთა დამოუკიდებლობა და მათი უფლებამოსილების შეუზღუდავი განხორციელება;
5. ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და კანონიერება;
6. ექსპერტიზის ჩატარების საჭიროობა, საზოგადოებრიობის მონაწილეობა და მისი აზრის გათვალისწინება.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების უფლება აქვთ:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს;
- აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგიონალურ (საქალაქო) სამმართველოებს;
- ქალაქ თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტს;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაიონულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

(შემდგომ: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოები).

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურა შედგება სამი ეტაპისაგან:

მოსამზადებელი – ამ ეტაპზე ექსპერტიზის ჩამტარებელი ორგანოს საშტატო თანამშრომლების მიერ:

- ა) მოწმდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- ბ) ყალიბდება ექსპერტიზის ამოცანები, ფარგლები და მიმართულებები, განისაზღვრება მისი ჩატარების მეთოდოლოგიური და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე საექსპერტო სამუშაოს მოცულობა;
- გ) ხდება ექსპერტთა შერჩევა რეესტრიდან ექსპერტიზის ძირითადი მიმართულებებისა და ამავე დებულებით განსაზღვრულ ექსპერტთა შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად;
- დ) ფორმდება სახელშეკრულებო დოკუმენტაცია ინვესტორთან და ექსპერტებთან.

ძირითადი – დოკუმენტაციის განხილვა ექსპერტთა მიერ, რომლის პროცესშიც დგინდება:

- ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის რეალიზაციისათვის არჩეული საშუალებების დასაბუთებულობა, მიღებული ტექნიკური, ტექნოლოგიური, საინჟინრო და არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, ბუნებრივი, ენერგეტიკული რესურსებისა და ნედლეულის გამოყენების კომპლექსურობა, რაციონალურობა და ა.შ.
- გარემოზე ზეგავლენის გამოვლენილი ფაქტორების ეკოლოგიური საშიშროების

განსაზღვრის სირთულე და საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბები;

- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ავარიული სიტუაციების თავიდან ასაცილებლად და მათი შესაძლო შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე გარემოზე ზემოქმედების შერბილების გათვალისწინებული ზომების საკმარისობა;
- სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას ეკოლოგიური უსაფრთხოების, გარემოს ნორმატივებით გათვალისწინებული ხარისხობრივი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საჭირო ოპერატიული და სხვა სახის კონტროლისა, აგრეთვე მონიტორინგისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის მეთოდები;
- წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების ეკოლოგიური საშიშროების, მათი განთავსებისა და გადამუშავების შესაძლებლობათა შეფასების ობიექტურობა;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ეკოლოგიური რისკის შეფასება;
- საზოგადოების მონაწილეობის პროცესში გამოთქმული მოსაზრებების განხილვა და მათი ექსპერტიზის შედეგებში გათვალისწინების მიზანშეწონილობის განსაზღვრა.

დასკვნითი –ეტაპი, რომელიც მოიცავს:

- საპროექტო დოკუმენტაციაზე ცალკეულ ექსპერტთა მიერ საექსპერტო დასკვნების მომზადების და მათ საფუძველზე „კრებსითი დასკვნის“ შედგენას;
- პროექტის განხორციელების პირობებისა და მათი შესრულების ვადების დადგენას;
- „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის“ შედგენასა და შესაბამისი სახით გაფორმებას, აგრეთვე გარემოსდაცვითი ნებართვისა და მისი დამატებითი პირობების (დანართის სახით) პროექტის შემუშავებას.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურის ვადები საქმიანობის კატეგორიების მიხედვით შეადგენს:

1. I კატეგორიის საქმიანობისთვის არანაკლებ 45 და არა უმეტეს 80 დღისა;
2. II კატეგორიის საქმიანობისთვის არანაკლებ 45 და არა უმეტეს 50 დღისა;
3. III კატეგორიის საქმიანობისთვის არანაკლებ 30 და არა უმეტეს 50 დღისა;
4. IV კატეგორიის საქმიანობისთვის არანაკლებ 10 და არა უმეტეს 20 დღისა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგები შეაქვთ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისია და ამტკიცებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დამასაბუთებელი დოკუმენტაცია:

- შეესაბამება საქართველოს კონონმდებლობით და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს;
- მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს;
- ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს, ავარიული სიტუაციების შესაძლებელი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა ჩათვლით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

გარემოზე ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრას, აგრეთვე მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას.

- ✓ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დაფინანსების წესი:

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები არის ნაწილი საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესის ორგანიზების უზრუნველსაყოფად საჭირო მთლიანი ხარჯებისა, რომელსაც გაიღებს საქმიანობის სუბიექტი.

საქმიანობის სუბიექტის მიერ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მომზადებისა და ჩატარების ასანაზღაურებელი ხარჯები მოიცავს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენის ღირებულების ხარჯებს.

მშენებლობა სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში

სასაზღვრო ზონა წარმოადგენს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალ არა უმეტეს 5 კილომეტრის სიგანის სახმელეთო ზოლს, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილს, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი.

სასაზღვრო ზოლი წარმოადგენს არა უმეტეს 500 მეტრის სიგანის სასაზღვრო ზონის ნაწილს, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს. სასაზღვრო ზონა, როგორც წესი, დგინდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რაიონის, ქალაქის, სოფლის, თემის, დაბის ტერიტორიის ფარგლებში, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით. სასაზღვრო ზონაში (სადაც ის დგინდება) შედის საქართველოს შიდა წყლების ნაწილი და ამ წყლებში მდებარე კუნძულები.

სასაზღვრო ზოლი დგინდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ხმელეთზე ან საზღვარზე გამავალი ზღვის, მდინარის, ტბის, წყალსატევის ნაპირების გასწვრივ. სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლს საქართველოს უშიშროების საბჭოს წარდგინებით ადგენს საქართველოს პრეზიდენტი. სასაზღვრო ზოლის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა.

სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული მის მოვლასთან, სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს სასაზღვრო ზოლში დაუშვას გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა.

სასაზღვრო ზოლის რეჟიმი არ ვრცელდება დასახლებულ პუნქტებზე. მოსახლეობის დასვენების ადგილებში სასაზღვრო ზოლის რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სპეციალურად დადგენილ ტერიტორიაზე.

სასაზღვრო რეჟიმს სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში ადგენს „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“. პირმა, რომელიც აპირებს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს საქმიანობის ხასიათი, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირი.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს უფლება აქვს აუკრძალოს პირს სამეურნეო საქმიანობა, თუ ასეთი საქმიანობისას აღმოჩნდება, რომ მან შეტყობინებაში მიუთითა არასწორი მონაცემები და სამუშაოთა წარმოება ზიანს აყენებს გარემოს ან ადამიანთა ჯანმრთელობას.

სასაზღვრო ზოლში, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე იხსნება საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისი და გამარტივებული სასაზღვრო გამტარი პუნქტები. მათი მშენებლობა და აღჭურვა ხდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისა და დაინტერესებული უწყებების ხარჯზე.

სასაზღვრო გამტარი პუნქტის ტერიტორიაზე აკრძალულია ისეთი ნაგებობების მშენებლობა, რომელთა დანიშნულება არ ემსახურება სასაზღვრო სამსახურის შესრულებას.

სამშენებლო საქმიანობა კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ დაცვის ზონაში

საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილებისათვის დგინდება სანიტარიული დაცვის სამი ზონა:

1. მკაცრი რეჟიმის ზონა;
2. შეზღუდული რეჟიმის ზონა;
3. სამეთვალყურეო ზონა.

1. მკაცრი რეჟიმის ზონა მოიცავს კურორტისა და საკურორტო ადგილის იმ ტერიტორიას, სადაც განლაგებულია მინერალური წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსასვლელები, სამკურნალო ტალახის და სხვა ბუნებრივი სამკურნალო რესურსების საბადოები, სამკურნალო კარსტული მღვიმეები, პლაჟები მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების შესაბამისად განსაზღვრული მიმდებარე ტერიტორიითა და სანაპირო აკვატორიით.

მკაცრი რეჟიმის ზონის ტერიტორიაზე აკრძალულია:

- სამუშაოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან;
- საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა;
- სამთო და მიწის სამუშაოები;
- ფიზიკური პირების მუდმივად ან დროებით ცხოვრება.

მკაცრი რეჟიმის ზონის ტერიტორიაზე დაშვებულია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული სამთო და მიწის სამუშაოები, ნაგებობების მშენებლობა (კაპტაჟები, საკაპტაჟე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, მილგაყვანილობა, რეზერვუარები, სააბაზანო ნაგებობები, სასმელი წყლის გაღერები და ბიუვეტები, ესტაკადები და სამკურნალო ტალახის მოპოვებისა და გამოყენების სხვა დანადგარები), ნაპირსამაგრი, ეროზია და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებებისა და საპარკო მოწყობილობების მშენებლობა და შეკეთება.

მკაცრი რეჟიმის ზონის საზღვრები დგინდება:

- მინერალური წყლების გამოსასვლელებისა და ჭაბურღილებისათვის – მათი ბუნებრივი დაცვის ხარისხის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ 15 მეტრისა ჭაბურღილისა და გამოსასვლელის კონტურიდან;
- სამკურნალო ტალახის საბადოებისათვის – საბადოს ბუნებრივი დაცვის ხარისხის, ტიპისა და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ 25 მეტრისა საბადოს ნულოვანი საზღვრიდან ან წყალსაცავის მრავალწლიური მაქსიმალური დონიდან;
- სამკურნალო პლაჟისა და აკვატორისათვის – სანაპიროდან ხმელეთზე არანაკლებ 100, ხოლო წყალსატევში – არანაკლებ 300 მეტრისა.

2. შეზღუდული რეჟიმის ზონა მოიცავს ტერიტორიას, სადაც ხდება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჩამოდინება მინერალური წყლებისა და სამკურნალო ტალახის საბადოებისკენ, აგრეთვე კურორტისა და საკურორტო ადგილის იმ ტერიტორიას, სადაც გაშენებულია საკურორტო ობიექტები, კურორტის ინფრასტრუქტურის სხვა შენობა-ნაგებობები, საკურორტო ბაღ-პარკები და კურორტის მიმდებარე ტყე-პარკები ან დაგეგმილია მათი გაშენება.

შეზღუდული რეჟიმის ზონის ტერიტორიაზე აკრძალულია:

- იმ ობიექტების მშენებლობა და გამოყენება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის კურორტის განვითარებასთან;
- ახალი საწარმოო ობიექტების მშენებლობა და არსებულის განვითარება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის კურორტის კეთილმოწყობასთან და საკურორტო ადგილის ათვისებასთან;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსებისა და ფერმების მშენებლობა;
- ახალი სატრანზიტო-საავტომობილო გზების მშენებლობა;
- შესაბამისი საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემის გარეშე ახალი საბინაო მშენებლობის წარმოება;

შეზღუდული რეჟიმის ზონის საზღვრები დგინდება:

- მინერალური წყლების საბადოებისათვის – ტერიტორიის გეოსტრუქტურულ და ჰიდროგეოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით;
- სამკურნალო ტალახის საბადოებისათვის – ზედაპირული წყლების უახლოეს წყალგამყოფ ხაზზე;
- სხვა ბუნებრივი სამკურნალო რესურსებისათვის – გეოსტრუქტურულ და გეომორფოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, აღნიშნული ზონის საზღვრები შეიძლება დადგინდეს ჰიდროდინამიკური და სხვა ფაქტორებით, მაგრამ არა უმეტეს 500 მეტრისა მკაცრი რეჟიმის ზონის საზღვრებიდან.

3. სამეთვალყურეო ზონა მოიცავს ჰიდრომინერალური რესურსებისა და კლიმატის ფორმირებისა და გავრცელების არეალს, კურორტის შემომსაზღვრელ ტყის მასივებს, აგრეთვე ტერიტორიებს, რომელთა გამოყენება სანიტარიული ზონისათვის დადგენილი წესების დაუცველად შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მინერალური წყლებისა და სამკურნალო ტალახის საბადოების ჰიდროგეოლოგიურ რეჟიმზე და კურორტის სანიტარიულ და ლანდშაფტურ-კლიმატურ პირობებზე.

სამეთვალყურეო ზონის ტერიტორიაზე დაშვებულია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც უარყოფითად არ იმოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე და ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე.

სამეთვალყურეო ზონის გარე საზღვრები დამოკიდებულია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ფორმირების გარე საზღვრებზე.

კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ დაცვის ზონაში მშენებლობის საკითხებზე რეკომენდაციის გაცემას და გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაციას ახორციელებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

სამშენებლო საქმიანობა სანაპირო ზონაში

„საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად სანაპირო ზონაში სამშენებლო საქმიანობა შეთანხმებული უნდა იყოს სსც „საქნაპირდაცვასთან“.

შეთანხმების გასაცემად ჩატარებული სამუშაოები მოიცავს საპროექტო დოკუმენტაციის ადგილზე იდენტიფიკაციას და ნაპირფორმირების პროცესებზე სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრას.

შეთანხმების გასაცემად „საქნაპირდაცვის“ მიერ გასაწევი ხარჯები ითვალისწინებს: სამიველინებო, სატრანსპორტო, საოფისე და სახელფასო თანხებს.

სსც „საქნაპირდაცვისათვის“ შეთანხმების გასაცემად ჩატარებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება სანაპირო ზონაში სამშენებლო საქმიანობის განმსორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის (მენაშენე) მიერ სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

მენაშენემ სსც „საქნაპირდაცვას“ შესათანხმებლად უნდა გაუგზავნოს წერილობითი მიმართვა, ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობათა გეგმები, მშენებლობის ორგანიზების პროექტი და განმარტებითი ბარათი.

სსც „საქნაპირდაცვა“ ვალდებულია შეთანხმებაზე სახელშეკრულებო თანხის მიღებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში გასცეს შეთანხმება ან დასაბუთებული უარი სანაპირო ზონაში სამშენებლო საქმიანობაზე.

ନି ଯ ଟ ଯ ଣ ଠ ଠ

მშენებლობას არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

№	დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის სახე	მიმღები ორგანო	დოკუმენტის ნომერი	მიღების თარიღი
1	სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ	კანონი	პარლამენტი	1426	14.05.02
2	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი	კანონი	პარლამენტი		
3	სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ	კანონი	პარლამენტი	2937	12.08.03
4	მშენებლობის ნებართვის შესახებ	კანონი	პარლამენტი	245	25.06.04
5	სამშენებლო საქმიანობის შესახებ	კანონი	პარლამენტი	577	27.10.00
6	არქიტექტურული საქმიანობის შესახებ	კანონი	პარლამენტი	1335	14.04.98
7	არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ	კანონი	პარლამენტი	1105	14.11.97
8	საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ	კანონი	პარლამენტი	2374	9.09.99
9	მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ	კანონი	პარლამენტი	1888	16.04.99
10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ	კანონი	პარლამენტი	2209	25.06.99
11	გარემოსდაცვით ნებართვების შესახებ	კანონი	პარლამენტი	424	15.10.96
12	სამშენებლო ნორმებისა და წესების „მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ	ბრძანება	ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	2	9.10.02
13	ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ	ბრძანება	ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	57	18.09.01
14	იმ ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მშენებლობის პროექტები ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას მიუხედავად მშენებლობის ღირებულებისა, დაფინანსების წყაროსა და საკუთრების ფორმისა და კუთვნილებისა, მათი მნიშვნელობის, ფუნქციური დანიშნულების, განლაგებისა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით	ბრძანება	ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	4	12.02.01

15	იმ ობიექტების მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების წესის შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას	ბრძანება	ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	5	13.02.01
16	„საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 12 თებერვლის № 4 ბრძანებაში“ იმ ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მშენებლობის პროექტები ექვემდებარება საგადასრულო სახელმწიფო ექსპერტიზას მიუხედავად მშენებლობის ღირებულებისა	ბრძანება	ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	74	27.12.01
17	ბუნებრივი განათებულობა და ინცოლაცია, სამშენებლო ნორმებისა და წესების დამტკიცების შესახებ	ბრძანება	ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	59	21.09.01
18	ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ	გადაწყვეტილება	ქ. თბილისის საკრებულო	8-13	1.08.2001

არქიტექტურის სამსახურის დასახელება

განმცხადებლის ვინაობა და მისამართი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ

მისამართი (ადგილმდებარეობა), სადაც იგეგმება მშენებლობა

ვაპირებთ

ასაშენებელი ობიექტის დასახელება (დანიშნულება)

მშენებლობას.

გთხოვთ, მომცეთ ზემოაღნიშნულ მისამართზე ობიექტის მშენებლობისათვის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება.

განცხადებას თან ერთვის მიწის ნაკვეთის

საკუთრების, სარგებლობის

დამადასტურებელი დოკუმენტი.

პატივისცემით,

განმცხადებელი:

ხელმოწერა

/

სახელი, გვარი

„-----“ „-----“ 200--წ.

არქიტექტურის სამსახურის დასახელება

განმცხადებლის ვინაობა და მისამართი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე შევადგინეთ

ასაშენებელი ობიექტის დასახელება

პროექტი.

გთხოვთ, შეითანხმოთ წარმოდგენილი ასაშენებელი ობიექტის პროექტი.

განცხადებას თან ერთვის:

1. ასაშენებელი ობიექტის პროექტი;

2.

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებით გათვალისწინებული დოკუმენტები

პატივისცემით,

განმცხადებელი:

ხელმოწერა

/

სახელი, გვარი

„-----“ „-----“ 200--წ.

სავალდებულო სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალი

სავალდებულო სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას ექვემდებარა იმ ობიექტთა პროექტები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 500 ათას ლარს და მეტს. გარდა ამისა, ექსპერტიზას ექვემდებარება ქვემოთ მოცემული ის ობიექტები, რომელთა სამშენებლო ღირებულება ნაკლებია 500 ათას ლარზე. აღნიშნული ობიექტების ჩამონათვალი დამტკიცებულია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ. მშენებლობის დამტკიცებული ასეთი პროექტები ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალის მიხედვით:

1. ყველა სახის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია, მათ შორის:

- განსახლების გენერალური სქემა;
- რაიონული დაგეგმარების სქემა (პროექტი);
- დასახლების გენერალური გეგმა (სქემა);
- დეტალური დაგეგმარების პროექტი;
- განაშენიანების პროექტი.

2. ასაშენებელი ობიექტები განლაგების მიხედვით:

- ქალაქებისა და სხვა დასახლების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვის ზონაში, სანიტარიული დაცვის ზონებში, სასაზღვრო და სხვა გეგმარებითი შეზღუდვების ტერიტორიებზე, სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში.
- რესპუბლიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის სახაზო მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების მიმდებარედ, ნორმით დადგენილ ზონების მიხედვით (გზები, რკინიგზები, მაღალი ძაბვისა და კავშირგაბმულობის ხაზები და სხვადასხვა დანიშნულების მილსადენები).

3. ასაშენებელი ობიექტები ტექნოლოგიების მიხედვით:

- საწარმოები, რომლებიც იყენებენ რადიაქტიურ ან ტოქსიკურ ნივთიერებებს და რომელთა ექსპლუატაციის შედეგად ადგილი აქვს გამოსხივებას;
- რადიაქტიულ და ტოქსიკურ ნივთიერებათა ნარჩენების სამარხები, რაიონული და საქალაქო სასაფლაოები და კრემატორიუმები;
- საწარმოები, ნაგებობები, მოწყობილობები, რომლებსაც გააჩნიათ ელექტრომაგნიტური გამოსხივება;
- რაიონული და საქალაქო ნაგავსაყრელები, ნაგავგადაამუშავებელი ან ნაგავსაწვავი ქარხნები;
- მრავალჯერადი გამოყენების და სერიული გამოშვების პროექტები;
- საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების გადასურული შენობები 50 და მეტი ადგილით.

4. საზოგადოებრივი და ენერგეტიკული საინჟინრო ნაგებობები:

- რკინიგზის და მეტროპოლიტენის ახალი მშენებლობები;
- ყველა სახის მილსადენების ახალი მშენებლობა. წყალსადენები, გაზსადენები, ნავთობსადენები, სანიაღვრეები, საკანალიზაციო კოლექტორები, გამწმენდი ნაგებობები;
- საბაგირო გზები და კიდული ხიდები;

- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები (35 კვ და მეტი ძაბვის) და ქვესადგურები (110 კვ და მეტი ძაბვის);
 - წყალსაცავები და სამელიორაციო სისტემები;
 - ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, სიმძლავრით – ათასი კილოვატი და მეტი.
- ✓ იმ პროექტთა ექსპერტიზას, რომლებიც არ ექვემდებარება საგაზდებულო სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას, ახორციელებენ დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიას.

[Empty rectangular box]

(ნებართვის გამცემი უწყების დასახელება)

[Empty rectangular box]

(განმცხადებელი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მოგვცეთ

მშენებლობის ნებართვა.

იურიდიული პირის ან ინდ. მეწარმის შემთხვევაში სამეწარმეო რეესტრის მონაცემები

ამხანაგობის შემთხვევაში მისი მონაცემები

ფიზიკური პირის შემთხვევაში დაბადების ადგილი და თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი

განცხადებას თან ერთვის:

თანდართული საბუთების ნუსხა

პატივისცემით,

განმცხადებელი:

სელმოწერა

/

სახელი, გვარი

/

„-----“ „-----“ 200--წ.

ორგანიზაციის სატიტულო ფურცელი

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ეს რწმუნება ეძლევა _____
(გვარი, სახელი)

რათა მან წარმოადგინოს და დაიცვას _____
(ორგანიზაციის დასახელება)

ინტერესები _____

(ნებართვის გამცემი ორგანიზაციის დასახელება)

ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და ისარგებლოს მაძიებლისათვის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით, მათ შორის, გაასაჩივროს ნებართვის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილებები, დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ანდა სასამართლოში.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____ / _____ /
ხელმოწერა სახელი, გვარი

"-----"----- 200 წ.

შენიშვნა:

ინდ. მეწარმის მიერ გაცემული რწმუნებულება დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ.

წარმომადგენლის დანიშვნის წესი

წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი. წარმომადგენლობის დროს სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილი იყოს კანონის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული რწმუნებულება (მინდობილობა). ფიზიკური პირის (საქართველოს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის) მიერ გაცემული რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. რწმუნებულებას იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციის სახელით გასცემს ხელმძღვანელი ან ის პირი, რომელსაც წესდებით ენიჭება ასეთი უფლებამოსილება.

წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

აცილების საფუძვლები

განმცხადებელს ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე წერილობითი სახით მისცეს შეუძლია აცილება განუცხადოს ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს, რომელსაც კანონის შესაბამისად არა აქვს უფლება მონაწილეობას იღებდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაუშვებელია ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებდეს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

- ა) თვითონ არის საქმეში დაინტერესებული მხარე;
- ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია (მოცემულ შემთხვევაში ნათესავად ითვლება: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები);
- გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
- დ) იყო ექსპერტი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
- ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
- ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
- ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

შენიშვნა:

აცილების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 92-ე მუხლით.

უწყების ან პირის დასახელება, ვისთანაც შედის საჩივარი

განმცხადებელი

მისამართი

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოგახსენებთ, რომ _____
[ნებართვის გამცემი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება]

გადაწყვეტილებით _____
(ადმინისტრაციული აქტის დასახელება, ნომერი და თარიღი)

არ დაკმაყოფილდა ჩვენი განცხადება _____
(ნებართვის სახელწოდება)

მიღების თაობაზე.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ნებართვის მიღების შესახებ ჩვენი განცხადების
დაკმაყოფილების საკითხი, აგრეთვე გააუქმეთ _____

[ნებართვის გამცემი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება]

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ვინაიდან იგი სამართლებრივი თვალსაზრისით
უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია შემდეგი გარემოებების გამო:

თანდართული საბუთების ნუსხა:

(დოკუმენტები, რომლებიც საჩივრის საფუძვლიანობას დაადასტურებენ)

განმცხადებელი: _____ / _____
ხელმოწერა / სახელი, გვარი

„-----“ „-----“ 200--წ.

სასამართლოს

მოსარჩელე: _____
(სახელწოდება, მისამართი)

მოპასუხე: _____
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ადმინისტრაციული სარჩელი

მოგახსენებთ, რომ _____
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება)

გადაწვევებით _____
(ადმინისტრაციული აქტის სახელწოდება და თარიღი)

არ დაკმაყოფილდა ჩვენი განცხადება ნებართვის მიღების შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი სარჩელი, გააუქმოთ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და დაავალოთ ასალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ჩვენი მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

აღნიშნული გარემოებები დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით: _____

სარჩელს თან ერთვის:

_____ (დოკუმენტები (მტკიცებულებები), რომლებიც სარჩელის საფუძვლიანობას ადასტურებენ)

მოსარჩელე:

ხელმოწერა

_____ /
სახელი, გვარი

„-----“ „-----“ 200--წ.

შენიშვნა: ადმინისტრაციული სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს იმდენ ეგზემპლარად, რამდენიც მოპასუხეა.

saqarTvelos axalgazrda ekonomistTa asociacia 1999 wlidan aqtiurad monawileobs licenzierebisa da nebarTvebis Sesaxeb axali kanonebis momzadebisa da danergvis procesSi. axali kanonmdeblobis danergvis mizniT gamoica ramdenime naSromi, Catarda konferenciebi mewarmeTa da sxva dainteresebuli pirebisaTvis. 2004 wlis 1oqtombridan 2005 wlis 31 maisamde organizaciaSi warmoebs satelefono konsultaciebi, romlis mizania nebis mier msurvel pirs misces ganmartebebi licenzierebis anda nebarTvebis Taobaze.

licenzierebisa da nebarTvebis Sesaxeb ukve gamocemulia Semdegi naSromebi:

- `rogor miviRoT licenzia da nebarTva kvebis produqtebisa da Tambaqos warmoebis sferoSi~, gzamkvlevi. 2003 weli;
- `rogor miviRoT licenzia da nebarTva veterinariis sferoSi samewarmeo saqmianobaze~, gzamkvlevi. 2003 weli;
- `rogor miviRoT licenzia da nebarTva samedicino da farmacevtuli saqmianobis sferoSi~, gzamkvlevi. 2003 weli;